ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 18 ოქტომბერი, 2019 №247 (8201) ფასი: 60 თეთრი

## მარიამ კუბლაშვილი: „თამთა თოდაძეს სამუდამოდ დავასამარებ!“



გვ.5

16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნება

ჩვენი ღირსებანი




ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი

# გურამ ჩალაგაშვილი: „ივანიშვილი ოქრუაშვილს ტელეფონით ლაპარაკს უკრძალავს“



გვ.3

„ევროსაბჭოს რეზოლუციაში პოლიტპატიმრებზე ჩანაწერს ველოდებით, რაც ივანიშვილისთვის ყურის აწევა იქნება“



## რომში ცხინვალის რეჟიმის ოფისი დაარბიეს



## რატომ იწვევს ალეკო ელისაშვილი კახა კალაძეს დებატებში

„ასეთი ღარიბები ოდესმე ვყოფილვართ?!“

გვ.3




გვ.4

გენოციდის საკითხზე ცხინვალში რუსეთის სახელმწიფო დუმის დელეგაცია ჩადის

## ბიძინა გეგიძე: „2020-ის არჩევნებში თავს ვერსად მოვიაზრებ“

„მოსამართლეების საკითხს სრული უნდობლობა გამოვუცხადე“



გვ.4

## თეა წულუკიანი: „პრეზიდენტი რომ ვიყო, აუცილებლად ვესტუმრებოდი პროკურატურას“



გვ.3

## „პროგრეს ბანკის“ შესწავლისას მასში საეჭვო ტრანზაქციები აღმოვაჩინეთ“

გვ.4

### სამართალი

გვ.5

კასპში 7 თვის შვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ არასრულწლოვან დედას შეზღუდული შერაცხადობა დაუდგინდა





ფონიჭალასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში 5 მსხვილი ნარკორეალიზატორი დააკავეს




ბოლნისში ქმარმა ცოლი ქმრით გაგუდა



ISSN 1987-9385

2

ბრძოლა „რუსთავი 2“-სთვის — აქიმიძე და ღვალი კომპანიის 60%-იანი წილის დაბრუნებას ითხოვენ



2

სუსის უფროსად პარლამენტმა გრიგოლ ლილუაშვილი დაამტკიცა




6

ერდოღანმა ტრამპის წერილი ნაგვის ყუთში მოისროლა

„ნუ იქნები ხისტი და სულელი!“ – ეწერა ტრამპის წერილში




7

მესი ბუცებს აგროვებს

# ბრძოლა „რუსთავი 2“-სთვის — აქიმიძე და დვალი კომპანიის 60%-იანი წილის დაბრუნებას ითხოვენ

„რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებმა დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ პრესკონფერენცია გამართეს.

მათი თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანიის 60- პროცენტიანი წილის დაბრუნების მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელი შეიტანეს.

„რუსთავი 2“-ის დამფუძნებლების ადვოკატი კახა კოჟორიძე აცხადებს, რომ ისინი სამართლებრივ ბრძოლაში გამოიყენებენ იმ სამართლებრივ არგუმენტებს, რომლებიც ქიბარ ხალვაშის სარჩელის დაკმაყოფილების დროს გამოიყენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ.



— ასევე ვამატებთ სხვა მრავალ გარემოებას, მტკიცებულებასა და არგუმენტს ყველა სამართლებრივ საკითხზე, რომლებიც შეიძლება დაისვას ჩვენს სარჩელთან დაკავშირებით. პასუხები უკვე წერია დიდი პალატის გადაწყვეტილებაში. სწორედ ამიტომ ჩვენი სარჩელის სამართლებრივი დასაბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ გვაქვს გადმოკოპირებული დიდი პალატის გადაწყვეტილებიდან. ეს არის შემთხვევა, როდესაც ქიბარ ხალვაშის ყველა არგუმენტი მისსავე საწინააღმდეგოდ იქნებ გამოყენებული. თუმცა, გარდა ხალვაშის სარჩელის მსგავსი არგუმენტებისა, ჩვენ გვაქვს დამატებითი ფაქტები და არგუმენტები, რაც ჩვენს სარჩელს დამატებით იურიდიულ ძალას სძენს, — აღნიშნა კოჟორიძემ.



ჯარჯი აქიმიძის თქმით, დღევანდელი რეალობა არანაირად არ პასუხობს სამართლიანობის აღდგენის კრიტერიუმებს.

— სასამართლოში სარჩელის შეტანით, იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული მართლმსაჯულება ყურადღებით მოეკიდება პრობლემას, რომელიც ამ ქვეყნის მედიის, მოქალაქეების უფლებების და თავისუფლების აღდგენას შეეხება. იმედი გვაქვს, პროცესი იქნება საჯარო, გამჭვირვალე და მას ყურადღებით დააკვირდებიან როგორც სხვადასხვა მედიასაშუალებები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული პროცესი მოექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში და ამიტომ წინასწარ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ბრძოლა იქნება უკომპრომისო, ღია და ტრანსფარენტული. მივმართავთ ყველა მედიასაშუალების მხარდაჭერის თხოვნით, სამოქალაქო საზოგადოებასა და დიპლომატიურ კორპუსს, აქტიური მონიტორინგი გაუწიონ მთელ ამ პროცესს.

„რუსთავი 2“-ის დღევანდელი რეალობა არანაირად არ პასუხობს სამართლიანობის აღდგენის კრიტერიუმებს, სწორედ ამიტომ მივმართავთ ხელისუფლებასა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, ხელი არ შეუშალონ სამართლებრივ პროცესს, რათა ამჯერად მაინც განხორციელდეს 2012 წელს დეკლარირებული დაპირება, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის შესახებ. ასევე, „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომელთა მმართველობის დროსაც, 2004 წელს განხორციელდა კომპანიის ჩვენთვის იძულებით ჩამორთმევის პროცესი, ახლა მაინც აღიარონ ჩვენ მიმართ დაშვებული შეცდომა და ხელი შეუწყონ მედია გარემოს გაჯანსაღებას, — განაცხადა აქიმიძემ.

* * *

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი პაატა სალია ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის სარჩელს გამოეხმაურა.



სალიას აზრით, მათი სარჩელი დაგვიანებულია. ამ სარჩელის წარდგენა, სულ მცირე, 2014 წლამდე უნდა მოეხერხებინათ.

— ნაადრევია, ვისაუბროთ სარჩელის შინაარსზე, თუმცა პრესკონფერენციაზე გაჟღერებული ფაქტებიდან შემიძლია, ერთი კომენტარი გავაკეთო. განსხვავება არის ქიბარ ხალვაშის მიერ შეტანილ იმ სარჩელსა და ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის სარჩელებს შორის, რადგან დროში არის ძალიან დიდი განსხვავება.

პირველ რიგში, ქიბარ ხალვაშმა მიმართა ათწლიანი ხანდაზმულობის პერიოდში საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით, ასევე მას ჰქონდა მიმართული პროკურატურისთვის ჯერ კიდევ 2007 წელს ხანდაზმულობის ვადების დაცვით და სწორედ ეს შეაფასა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, რომ ქიბარ ხალვაშის მიერ პროკურატურისთვის მიმართვით დაცული იყო ხანდაზმულობის ვადა. სწორედ ამ შეფასებიდან გამომდინარე, რომ ხანდაზმული არ იყო ქიბარ ხალვაშის სარჩელი, დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა, ამ შემთხვევაში ვნახოთ როგორ შეაფასებს ხანდაზმულობის საკითხს სასამართლო, თუმცა ჩემი, როგორც იურისტის პოზიციაა ამ შემთხვევაში, რომ მათი სარჩელი არის დაგვიანებით წარდგენილი. მათ ამ სარჩელის წარდგენა, როგორც მინიმუმ, უნდა მოეხერხებინათ 2014 წლამდე, — აღნიშნა სალიამ.

— ვერ დავეთანხმები პაატა სალიას, რომ აქიმიძისა და დვალის სარჩელი ხანდაზმულია. მზად ვარ, მასთან ამ თემაზე ნებისმიერ ეთერში ვისაუბრო.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის ინტერესების დამცველმა კახა კოჟორიძემ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის პაატა სალიას განცხადების საპასუხოდ განუცხადა.

# დაპირისპირება პარლამენტში

პარლამენტის სხდომაზე უმრავლესობის წევრ სიმონ ნოზაძეს გიგა ბოკერიამ „საბჭოთა უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი“ უწოდა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.



გუშინ, 17 ოქტომბერს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს „მინისტრის საათის“ ფორმატში მოუსმინეს „ევროპული საქართველოს“ დეპუტატი გიგა ბოკერია და „ქართული ოცნების“ დეპუტატ სიმონ ნოზაძე ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. გიგა ბოკერიას გაღიზიანება სიმონ ნოზაძის სიტყვით გამოსვლას მოჰყვა.

— შედეგები სახეზეა, თქვენმა პოლიტიკამ კრახი განიცადა, ჩაგითრიეს იმ ომში, დაგაკარგვინეს ტერიტორიები, ეს იყო თქვენი პოლიტიკის საბოლოო შედეგი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გინდათ ამ ხელისუფლებასაც შეცდომა დააშვებინოთ, მერე თქვათ, აი, თქვენც ხომ დაუშვით შეცდომა, არის საკითხები, რომელიც ჩვენ უნდა გავაკეთოთ და ნუ მოვაბეზრებთ თავს წუწუნით ჩვენს პარტნიორებს. აუცილებელია არ არის მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობა, არამედ ურთიერთობა აფხაზეთთან და ცხინვალთანაც. ამაში მე დასაძრახს ვერ ვხედავ, ეს ხომ ტაქტიკური შეხვედრა იყო ლავროვთან. ჩვენ სწორი გზით მივდივართ. ლავროვი ახლა იმას იტყოდა, რომ ეს ნამდვილად ოკუპაციააო? შეხვედრა იმიტომ ტარდება, რომ რუსული და ქართული მხარე თავის პოზიციებს დააფიქსირებენ, დიალოგი უნდა გაგრძელდეს. რაც შეეხება თქვენს დაჟინებულ პოზიციას, რომ მოვითხოვოთ რუსეთს ეკონომიკური სანქციები ჩვენი გულისთვისაც გამოუცხადონ — სანქციები უმკაცრესი აქვს რუსეთს და კიდევ უფრო მკაცრდება.

ბატონო გიგა, საკმარისია, რომ ჩვენ მოვითხოვოთ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები, რუსეთი დაიწყებს სათანადო ეკონომიკური სანქციების გატარებას და გაცილებით მეტად დაზარალდება ჩვენი ეკონომიკა.

მე მგონია, ეს ექსპრეზიდენტის პოზიციაა. ის, ნეგატივის გარდა, სხვა გზას ვერ ხედავს, თავის ადგილი ჰპოვოს საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში. მე მგონია, რომ ეს წინასწარ შეთანხმებული თამაშია, მაგრამ მეტისმეტი მოგივიდათ და გადაამლაშეთ. ჯვარი სწერია საქართველოს, სააკაშვილი რომ დაბრუნდეს საქართველოში, პირველი თქვენ მიირბენთ მასთან.

ნუ გვეშინია სიმართლის თქმის. მე, პირადად, მისაღებად მიმაჩნია, რომ დეპუტატები შევხვდეთ დეპუტატებს, თუ ოპოზიციაც ჩაერთვება, კი ბატონო, — განაცხადა ნოზაძემ.

სიმონ ნოზაძის ამ განცხადებაზე გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ ვერ გაიგო, თუ ვისი სახელით გამოდიოდა „საბჭოთა უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი“.

— ბოდიში, არ ვისმენდი და ვერ გავიგე, ზუსტად ვისი სახელით გამოდიოდა საბჭოთა საოკუპაციო უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი, უმრავლესობის სახელით თუ თავისი ფრაქციის. თუ უმრავლესობის სახელით არ იყო, უმრავლესობას ვთხოვ, დააფიქსიროს, ამ პოზიციას იზიარებს თუ არა, — განაცხადა ბოკერიამ, რასაც მას და სიმონ ნოზაძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. ვითარების განმუხტვის პროცესში მანდატურები ჩაერთვნენ და გიგა ბოკერია დარბაზიდან გაიყვანეს.

# გიორგი მარგველაშვილს სახელმწიფო დაცვა მოუხსნეს

### საქართველოს მეოთხე პრეზიდენტს არც პენსიას აძლევენ

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს მიმდინარე წლის 16 დეკემბრიდან სახელმწიფო დაცვა მოეხსნება.



სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში აცხადებენ, რომ მოცემულ ეტაპზე არ იკვეთება რაიმე გარემოება, რის გამოც გიორგი მარგველაშვილისთვის სახელმწიფო დაცვის შენარჩუნება აუცილებელი იქნებოდა.

თავად მარგველაშვილი ახალ კანონს პერსონალურად მასზე მორგებულ ცვლილებას უწოდებს.

მისივე შეფასებით, ეს არის უკვე პოლიტიკად ქცეული ინსტიტუტის დაკნინების მცდელობა.

მარგველაშვილი სვამს კითხვას — თუ ყოფილ დეპუტატს თუ აქვს პენსია, ყოფილ პრეზიდენტს რატომ არ უნდა ჰქონდეს.

* * *

უმრავლესობის დეპუტატმა ირაკლი სესიაშვილმა მედიასთან განაცხადა, რომ ყოფილ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს სახელმწიფო დაცვის შენარჩუნების საჭიროება არ აქვს და მას დეკემბრის შუა რიცხვებიდან დაცვა მოეხსნება.

სესიაშვილის თქმით, კანონი ყველასთვის არის კანონი.

— ბატონ მარგველაშვილს როდესაც დაცვა მოუხსნეს, ეს იყო კანონით გათვალისწინებული ღონისძიება. მადლობა ღმერთს, რომ ამ ქვეყანაში ყოფილი თანამდებობის პირების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ამიტომ მისი ეს აღშფოთება იყო არამარტო უსაფუძვლო, არამედ მე ვიტყოდი, მარტივი პოლიტიკური სპეკულირება, — განაცხადა სესიაშვილმა.

მამუკა მდინარაძის განცხადებით, ცვლილება გასულ წელს არის მიღებული და ახლა აღნიშნულზე საუბარი არასერიოზულია.

— რა შუაშია, რაღა დროს მარგველაშვილია და რაღა დროს მაგ კანონში ცვლილებაა. რა პირადი ანგარიშსწორება, ცვლილება შარშან მივიღეთ და დღეს დავიწყეთ ანგარიშსწორებაზე საუბარი?! სერიოზულია ეს ყველაფერი? — განაცხადა მდინარაძემ.

# ხაბეიშვილი: „კალაძე ფულს ათეთრებს?!“

### დედაქალაქის მერმა ოჯახის წევრების სახელით 1.400.000 ლარის ღირებულების სახლი იყიდა

„ბუნებრივია, ლეგიტიმურად გვიჩნდება კითხვა: ეს კაცი ფულს ხომ არ ათეთრებს? იპარავს? — ჩვენ გვაქვს წარმოდგენა, მაგრამ სამართალდამცავებს ხომ უნდა ჰქონდეთ კითხვები?“

კახი კალაძის შესაძლო კორუფცია — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს წევრის ლევან ხაბეიშვილის ინფორმაციით, დედაქალაქის მერმა საკუთარი ოჯახის წევრების სახელით თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე მილიონ ოთხასი ათასი ლარის საცხოვრებელი სახლი იყიდა.

ხაბეიშვილი მოუწოდებს თბილისის მერს, ყველა ლეგიტიმურ კითხვას პასუხი გასცეს.

— ლეგიტიმური კითხვები გვაქვს. პირველი დეკლარაცია როდესაც შეავსო კალაძემ, აჩვენა, რომ უკრაინიდან აქვს შემოსავლები, შემდეგ აღმოჩნდა, რომ იმის მეათედი შემოსავალი აქვს უკრაინიდან, რაც მან აჩვენა. ან უკრაინაში მალავს შემოსავლებს, ან ფულს ათეთრებს პირდაპირი მნიშვნელობით აქ. ნებისმიერ შემთხვევაში ფულის გათეთრებასთან გვაქვს საქმე.



გუშინ ბრიტანულმა არბიტრაჟმა, ფაქტობრივად, ბრალი დასდო მის მეჯვარეს, ვგულისხმობ წულაიასა და მისი ოჯახის წევრებს იმაში, რომ ისინი კალაძის ბანკის მეშვეობით ფულს ათეთრებდნენ. მესამე, უკვე ერთი კვირის წინ, მისმა სიდედრმა, შეიძინა მილიონ ოთხასი ათასი ლარის ღირებულების ქონება. საიდან მოვიდა ეს ყველაფერი?

ბუნებრივია, ლეგიტიმურად გვიჩნდება კითხვა: ეს კაცი ფულს ხომ არ ათეთრებს? იპარავს? — ჩვენ გვაქვს წარმოდგენა, მაგრამ სამართალდამცავებს ხომ უნდა ჰქონდეთ კითხვები? სიღარიბით სავსე ქალაქში როგორ ახერხებენ? ორი ბინა ლუბლიანაზე, რომელიც არის 301 და 345 კვადრატული...

შესაბამისად, ეს წრე, რომელიც იკვრება, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა კორუფციასთან გვქონდეს საქმე და ამაზე კალაძემ პასუხი უნდა გასცეს, — განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

# სუსის უფროსად პარლამენტმა გრიგოლ ლილუაშვილი დაამტკიცა



საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გრიგოლ ლილუაშვილი დაამტკიცა. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას დეპუტატებმა 85 ხმით მხარი დაუჭირეს. გრიგოლ ლილუაშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ექვსი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

კენჭისყრამდე გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა განიხილა. კომიტეტის სხდომაზე გრიგოლ ლილუაშვილმა ისაუბრა უსაფრთხოების კუთხით ქვეყანაში არსებულ მთავარ გამოწვევებსა და უწყების შემდგომი საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, ასევე, დეპუტატების კითხვებს უპასუხა. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას 11 ხმით მხარი დაუჭირა.

# შატილში ერთადერთი სკოლა დაიწვა



შატილში ერთადერთი საჯარო სკოლის შენობა დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ადგილზე მობილიზებული იყო 3 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გურამ ჩალაგაშვილი: „ივანიშვილი ოქრუაშვილს ტელეფონით ლაპარაკს უკრძალავს“

## „ევროსაბჭოს რეზოლუციაში პოლიტპატიმრებზე ჩანაწერს ველოდებით, რაც ივანიშვილისთვის ყურის აწევა იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

20 ივნისის მოვლენების საქმეზე დაპატიმრებულ ირაკლი ოქრუაშვილს პროკურატურამ ტელეფონით საუბარი აუკრძალა. ეს მაშინ, როდესაც ტელეფონით საუბარი ისედაც შეზღუდული ჰქონდა. მის პარტია „გამარჯვებულ საქართველოში“ ამას ოქრუაშვილის მიმართ შიშით ხსნიან. პროკურატურაში კი განმარტავენ, რომ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღეს, ირაკლი ოქრუაშვილმა მოწმეებზე ზემოქმედება არ მოახდინოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **გურამ ჩალაგაშვილი** პასუხობს.

***– ირაკლი ოქრუაშვილს სატელეფონო ზარები ისედაც შეზღუდული ჰქონდა. მას საერთოდ აუკრძალეს სატელეფონო საუბარი ციხიდან. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?***

– ეს არის შეშინებული ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯი. ისინი არიან შეშინებული ადამიანები და ბიძინა ივანიშვილს უკვე იმ დონეზე ეშინია ირაკლი ოქრუაშვილისა და მისი გუნდის, რომ ტელეფონით საუბარი საერთოდ აუკრძალეს. საკუთარ შვილებს რომ დაელაპარაკება ოქრუაშვილი, ხელისუფლებას ეშინია, მას ისეთი არაფერი უთხრას, რომ „ქართულ ოცნებას“ საფრთხე შეექმნას.

ეს არის ამ ხელისუფლების სრული პანიკა და ძნელია ამის შეფასება და ის, რომ ამ გადაწყვეტილებას ახსნა მოუძებნო. მსგავსი რამე მე არ გამიგია არსად, რომ ოჯახის წევრებთან საუბარი აუკრძალო მსჯავრდებულს. ირაკლი ოქრუაშვილს არავისთან კონტაქტი არ აქვს, გარდა ადვოკატისა.

***– ეს შიშია თუ პოლიტიკური რეპრესიების მორიგი გამოვლინება ოპონენტის წინააღმდეგ?***

– ტელეფონით საუბრის უფლებას მისცემენ თუ არა ირაკლი ოქრუაშვილს, ამით მას ვერაფერს დააკლებენ. ეს არის შეშინებული ხელისუფლება და ეს არის შეშინებული ივანიშვილის ვითომ დამაშინებელი ნაბიჯი თუ გზავნილი. ეს არის მესიჯი, რომ ჩვენ მაგრები ვართ და რასაც გვინდა, იმას ვიზამთ და, თუ საჭირო გახდება, იმ ვითარებაში ჩაგაგდებთ, რომ ტელეფონზე საუბრის უფლებასაც არ მოგცემთ.

თუმცა, მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, რომ ამით არც ოქრუაშვილს, არც მის მეგობრებსა და არც პარტიას არაფერი აკლდებათ. პირიქით, ჩვენ ყველანი ამით უფრო ვძლიერდებით და ეს გაძლიერებული ადამიანები გამოუტანენ განაჩენს ბიძინა ივანიშვილსა და მის „ქართულ ოცნებას“. ძალიან მალე იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან თავად.

***– რისი შიში აქვს ხელისუფლებას? უფრო მკაფიოდ განმარტეთ ჩვენი მკითხველისთვის. ეს არის პერსონალურად ოქრუაშვილისადმი შიში?***

– დიახ. ეს არის ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ შიში. მათ ეშინიათ ოქრუაშვილის ავტორიტეტის. ვიცით, რომ ის არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადამიანი. მან გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები, ელემენტარულად, შექმნა ქართული ჯარი, პოლიცია, რომლის შექმნითაც ვამაყობდით ჩვენ.

***– შურისძიების ელემენტებსაც ხომ არ ატარებს ეს ყოველივე?***

– შურისძიებაზე რა მოგახსენოთ. შური რასთან დაკავშირებით უნდა იძიოს ივანიშვილმა?! ის, რომ ირაკლი ოქრუაშვილი დაბრუნდა საქართველოში და ის, რომ სასამართლომ ის გაამართლა, ამის გამო ვერ იძიებდა შურს ივანიშვილი. თუ იმის თქმა უნდა მას, რომ ოქრუაშვილს არ ეკუთვნოდა საქართველოში დაბრუნება და ამის გამო შურს იძიებს „იმ კეთილი ნაბიჯის“ გამო, რომელიც მან გადადგა, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.

თუ ამას აღიარებს, რომ სასამართლოს რასაც ავალებს, იმას აკეთებინებს, ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა მისთვის. თუ ისინი ამას თვლიან შურისძიებად და უმადურობად, ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ხელში ჰყავთ და, რასაც დაავალებენ, იმას აკეთებინებენ. ეს არის მათთვის უფრო დიდი პრობლემა, ვიდრე სხვისთვის.

***– თქვენი შემხვედრი ნაბიჯები რა იქნება იმაზე, რაც ხდება?***

– ჩვენი შემხვედრი ნაბიჯი ამაზე არაფერი იქნება. უბრალოდ, მე შემიძლია ვთქვა ერთი რამე ნახევრად ხუმრობით. ამით მივმართავ ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც ალბათ წაიკითხავს თქვენს სტატიას. ერთხელ მან მიმართა ივანიშვილს, რომ საკანში მისი საწოლი იყო ძალიან პატარა ზომის, რომელიც ივანიშვილის ზომაზე იყო გაკეთებული. ის რამდენიმე თვე ითხოვდა მის შეცვლას, მაგრამ არ უცვლიდნენ. როგორც კი ოქრუაშვილის ეს წერილი გამოქვეყნდა, არ გასულა რამდენიმე საათი, რომ მას მაშინვე შეუცვალეს.




დღეს უკვე მისი ოჯახის კონტაქტზეა საუბარი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დღეს იქნება თუ ხვალ, მას აუცილებლად მისცემენ ოჯახის წევრებთან საუბრის უფლებას. თუ ივანიშვილი ასეთი დამჯერი გახდა, მივმართავ ოქრუაშვილს, შემდეგ პოსტში ივანიშვილს სთხოვოს, რომ ეს ხელისუფლება მოაშოროს ქვეყანას. თუ ამაშიც დაგვიჯერებს ივანიშვილი, ჩათვალეთ, რომ საქართველო ამოისუნთქებს, გვეშველება და მოგვიწევს ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება.

***– პროკურატურის განმარტებით, ეს გაკეთდა იმისთვის, რომ ოქრუაშვილს მოწმეებზე ზემოქმედების ბერკეტი არ ჰქონოდა. როგორ აფასებთ პროკურატურის არგუმენტაციას?***

– პროკურატურას ასახსნელი არაფერი აქვს დარჩენილი, ვერაფერს ველარ იტყვის, იმიტომ, რომ მას დაკითხული ჰყავს 300-მდე მოწმე. ყველა ეს მოწმე პოლიციელია. არც ერთი სხვა ადამიანი არ არის დაკითხული. სამასივე პოლიციელი ამბობს ერთსა და იმავეს, რომ 20 ივნისის ღამეს ირაკლი ოქრუაშვილი დაინახეს რუსთაველის გამზირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამას არავითარი დაკითხვა არ სჭირდება. ირაკლი ოქრუაშვილი მხოლოდ პოლიციელებმა კი არ დაინახეს იქ, არამედ იმ 50.000-მდე ადამიანმა, რომლებიც ვიდექით იქ და ვაპროტესტებდით რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას. ამას გარდა იქ არაფერი მომხდარა ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან.

***– აპირებთ თუ არა, რომ იმ ყველაფერზე, რაც ხდება ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციები საქმის კურსში ჩააყენოთ, ან ხომ არ აყენებთ უკვე?***

– საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაყენებულია საქმის კურსში. ყველამ ყველაფერი იცის. დიპლომატიურმა მისიებმა ამის შესახებ იციან და ძალიან მალე ველოდებით შედეგებს.

მაგალითად, ევროპის საბჭოსგან ნოემბერში ველოდებით რეზოლუციას, სადაც დაწერილი იქნება, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას ქვეყანაში ჰყავს პოლიტპატიმრები. ეს არის ირაკლი ოქრუაშვილი და სხვანი. ეს იქნება ივანიშვილისადმი მკაცრად ყურის აწევა დასავლეთის მხრიდან. მათი გზავნილი იქნება, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა ჰყავდეს პოლიტპატიმრები და ეს იქნება გზავნილი ივანიშვილისა და მისი ხელისუფლებისთვის, რომ ეს ბიჭები, რომლებიც ციხეში სხედან, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს.

# თეა წულუკიანი: „პრეზიდენტი რომ ვიყო, აუცილებლად ვესტუმრებოდი პროკურატურას“



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი შეწყალების საქმეზე საუბრობს. მინისტრმა მედიასთან ღიად თქვა, რომ „პრეზიდენტი რომ იყოს, აუცილებლად ესტუმრებოდა პროკურატურას“.

– მინისტრს, რიგით მოქალაქეს, დეპუტატს, ყველას, ვინც არის თანამდებობაზე დანიშნული თუ არჩეული, უნდა გვესმოდეს, რომ პროკურატურაში კითხვებზე პასუხის გაცემა არ ნიშნავს დანაშაულის ჩადენას... მე არ გახლავართ პრეზიდენტი, რომ ვიყო, აუცილებლად ვესტუმრებოდი პროკურატურას. ყველას უნდა გვესმოდეს – მინისტრს, რიგით მოქალაქეს, დეპუტატს, ყველას, ვინც არის თანამდებობაზე დანიშნული თუ არჩეული, რომ პროკურატურაში კითხვებზე პასუხის გაცემა არ ნიშნავს დანაშაულის ჩადენას. როდესაც გამომძიებელს, გამომძიებელ პროკურორს აქვს კითხვები, ჩვენი ვალია, ასეთია ჩვენი კანონმდებლობა, რომ ამ კითხვებს გავცეთ პასუხი, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი, როგორც იუსტიციის მინისტრის, პოზიციაა და, იმედი მაქვს, ძალიან ბევრი მოქალაქე ამ ქვეყანაში ამ პოზიციას იზიარებს, – თქვა მან.

მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით სალომე ზურაბიშვილმა მკვლელობისთვის მსჯავრდებული სამი პირი შეიწყალა.

20 სექტემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეწყალების სკანდალზე გამოძიება დაიწყო.

# რატომ იწვევს ალეკო ელისაშვილი კახა კალაძეს დებატებში

## „ასეთი ღარიბები ოდესმე ვყოფილვართ?!“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს **ალეკო ელისაშვილი** პასუხობს.

***– ალეკო, თბილისის მერ კახა კალაძეს იწვევთ დებატებში. ეს ტრანსპორტის თემას ეხება?***

– რა თქმა უნდა, ეს ეხება სატრანსპორტო პოლიტიკას, პირველ რიგში. ძალიან არაკომპეტენტურად გააკეთეს ეს ყველაფერი. კალაძის გარშემო ადამიანებს არ ესმით, როდის რა ნაბიჯი უნდა გადადგან და რა არის სატრანსპორტო თვალსაზრისით ქალაქში პრობლემა.

ველარ გადაადგილდები ადამიანი ვერც ფეხით, ვერც მანქანით, ავტობუსებში ხომ საერთოდ ჯოჯოხეთია, სახემიჭყლეტილი დგას საღამოობით ხალხი. არც იცის და არც სხვისი ესმის.

მასთან ლაპარაკი ნამდვილად არ მომნატრებია პირდაპირ ეთერში, უბრალოდ, მინდა, რომ მასაც და მოსახლეობასაც ავუხსნა, რომ ასე თუ გააგრძელებს, სრულიად გაუსაძლისი იქნება ვითარება. მინდა ავუხსნა, რის მერე რა ნაბიჯია გადასადგმელი.

***– მას თუ ვკითხავთ, ძალიან ბედნიერია ჩვენი მოსახლეობა, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს.***

– კალაძემ თქვა, ის ხალხი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობს, ძალიან ბედნიერიაო და ეს თქვა ფეისბუქ ლაივში, მას შემდეგ, რაც ცარიელი ავტობუსიდან გამგებლისა და მერიის ორი თანამშრომლის თანხლებით ჩამოვიდა.

მერიის თანამშრომლები რომ არ დადიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ეს არის პრობლემის თავიდათავი.

***– მეტროთი უნდა იარონ?***

– მათ მართლა ჰგონიათ, დანარჩენები რომ დადიან მეტროთი, მართლა უზომოდ ბედნიერები არიან, ან ავტობუსებში რომ იჭყლიტებიან. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს ემსახურებოდეს მანქანა. ამ გადმოსახედიდან ისინი ვერ მიხვდებიან, ხალხს რა პრობლემა აქვს.

***– ამბობენ, რომ კალაძესა და გახარიას შორის სერიოზული დაპირისპირებაა.***

– მე მათი კულუარები ნამდვილად არ მაინტერესებს, მაგრამ, აქამდე რაც იყო, ეს იყო ზედაპირული ქმედებები, რომელთაც მე უწი-პუწი რაღაცებს ვეძახი, კალაძეს სერიოზული არაფერი გაუკეთებია. გზებს აგებს და თითო მონაკვეთს მთელ წელიწადს ანდომებს. იმ დროს, როცა მართლა საქმე იყო გასაკეთებელი, ადგა და ყველაზე ბოლოს გასაკეთებელს მიახტა, ტაქსებს და გამოიწვია სრული კოლაფსი.

არ შეიძლება, სახლი ააშენო სახურავიდან. ასევეა ესეც, სატრანსპორტო პრობლემას ვერ მოაგვარებ ტაქსების რეფორმით, გამორიცხულია! კი, ტაქსების რეფორმა საჭირო იყო, მაგრამ, ხომ უნდა მიხვდე, მანამდე რა არის გასაკეთებელი.

***– ძალიან ბევრი და გაუმართავი ტაქსი იყო ქალაქში.***

– ქალაქში ბევრი ტაქსი იყო ცუდი სატრანსპორტო სისტემის შედეგი. მიზეზი იყო ის, რომ მეტროში ცოტა შემადგენლობა დადის, მეტროს ამოსასვლელებია დასამატებელი, თითქმის მზად არის ახმეტელის ამოსასვლელი, რას უცდიან? მარჯანიშვილის ამოსასვლელი წლებია, მიგდებულია. გააკეთე ეს, გაზარდე მეტროს შესაძლებლობები, გაზარდე მეტროს რესურსები, ბევრი ავტობუსი ჩამოიყვანე და მერე თავისთავად მოგვარდება ტაქსების ამბავიც.

როდესაც ქალაქში ავტობუსების 2/3 ბოგდანები გყავს, მორალურად და ტექნიკურად რესურსამოწურული, რაღა ტაქსებს მიახტი?! რამ გაგამწარა ამ ტაქსებზე? უხარისხო და მოძველებულიაო და ბოგდანები ხარისხიანია?!

***– როგორც მძღოლები დარჩნენ უმუშევრები, ისე მგზავრებს შეექმნათ სერიოზული პრობლემა.***

– ხალხს ლუკმაპურის შემოსავალი ჰქონდა და ისე დარჩნენ, მგზავრთა ნაკადს ველარ აუდის ველარანაირი ტრანსპორტი. ხალხი საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიაწყდა. იქ მართლა ჯოჯოხეთია. ფეხით გადაადგილება კიდევ ამ ქალაქში სიცოცხლის რისკთან არის დაკავშირებული. აი, ეს აჯაფსანდალი მიიღო ამ პიარის ზედმეტი გატაცებით.

გასაგებია, რომ ნარმანიაზე უფრო ენერგიულია, მაგრამ ამ ენერგიულობას ცოტა გონებაც ხომ უნდა დააყოლო! აბა, პიკის საათებში ნახოს, რა ხდება, თუ ძიუდოისტი არ ხარ, ვერც მეტროს ვაგონში შეხვალ და ვერც ავტობუსში.

მე მქონდა ძალიან კარგი სატრანსპორტო გეგმა, რომელიც პროფესიონალებთან ერთად დავწერე. წაიღოს ეს ოხერი გეგმა და გამოიყენოს. ეს ყველაფერი ძალიან კარგად მქონდა გააზრებული, იმიტომ კი არა, რომ ჭკვიანი ვარ, იმიტომ, რომ ჩემზე ჭკვიან ხალხს ვკითხე.

***– ასევე ქაოსურია მთლიანად „ოცნების“ ხელისუფლების პოლიტიკა. რას ცდილობენ, რის მიღწევა უნდათ?***

– „ოცნებას“ უნდა ხელისუფლების შენარჩუნება, იმიტომ, რომ რაც აქამდე მოიპარეს და რაც დარჩა, იმაზე მეტი მოიპარონ. აღარც მალავენ, პირდაპირ აკეთებენ ფულს, საკუთარ კომპანიებს აგებინებენ ტენდერებს.

ნიკა გვარამიას პროკურატურა ხომ ედავება, პრემიები რატომ გაეციო, სახელმწიფო კომპანიის, ელექტროსისტემის ხელმძღვანელმა წამგებიან კომპანიაში რომ 12 მილიონის პრემიები გასცა, პროკურატურამ რატომ არ დაიწყო გამოძიება?! მაგ ტიპმა სახელმწიფო ბიუჯეტის ანუ ხალხის ფული ოთხ დღეში ტელეფონში რომ დახარჯა და მერე თქვა, შემთხვევით დამეხარჯაო, მაგაზე გამოძიება რატომ არ მიმდინარეობს?!

***– იმიტომ, რომ მათი გუნდის წევრია.***

– ჰოდა, ესაა პრობლემა. ამიტომ „ქართული ოცნება“ უნდა გავუშვათ ხელისუფლებიდან! 2020 წელს აუცილებლად უნდა გავუშვათ. ამ ხალხის დარჩენა არ შეიძლება, თორემ განადგურდება, მოისპობა ეს ქვეყანა, რომელიც როგორც საპონი, ისე გვადნება ხელში!

არის არჩევანი პოლიტიკურ სპექტრში. არ მოგწონს ნაცები, სხვა აირჩიე.

***– ვინ სხვა, ალეკო, მესამე ძალის მოლოდინი იყო და არ გამოჩნდა.***

– არ არის აუცილებელი ეს მესამე და მეოთხე ძალები, იქნება პარტიების დიდი არჩევანი და აქედან ყველამ გემოვნების შესაბამისად გააკეთოს ეს არჩევანი. არ იქნება მარტო ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“, ვხედავთ უკვე და ეს პირი უჩანს. მთავარია, ხალხი მივიდეს არჩევნებზე.

უნდა შევცვალოთ, ეს ყველამ ჩაიდოს ტვინში, უნდა შევცვალოთ ხელისუფლება. ამ არაფრის მაქნისი, ბიუჯეტის ქურდების ხელისუფლებაში დატოვება არაფრით არ შეიძლება.

***– კობახიძე ამბობს, 60%-ს ავიღებთო.***

– კობახიძე ერთ დღეს 45%-ს ამბობს, მეორე დღეს – 60%-ს. კობახიძის სიზმრები არავის გვაინტერესებს. ხალხო, გარშემო მიმოიხედეთ, ჯიბეში ხელი ჩაიყავით და მაცივარი გამოაღეთ, ასეთი ღარიბები ოდესმე ყოფილხართ?! ან ქვეყანას შეხედეთ, რომელიც რუსებსა და ოსებს მიაქვთ. ყველამ შემოვილაწუნოთ სახეში სილა და რეალობას თვალი გავუსწოროთ.

***– „ოცნებას“ იმედი აქვს, რომ პატარ-პატარა პარტიებს მოისყიდის და კოალიციას შექმნის.***

– ვინც მოსასყიდი იყო, უკვე მოსყიდული ჰყავთ. ისე არ წამხდარა ჩვენი ერი, რომ ბოლომდე ყველას მოსყიდვა შეძლონ. შეიძლება, ამაში დარწმუნებულია ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ მე საპირისპიროში ვარ დარწმუნებული. ბიძინას გადმოგდებულ გროშებზე ძალიან ბევრი არ გაიყიდება.

***– ამომრჩევლის დაახლოებით 50% არის თავისუფალი, ვისაც არ მოსწონს არსებული პარტიები. უნდა გამოჩნდეს ძალა, რომელიც ამ ხმებს აითვისებს.***

– ეს ერთი ძალა არ იქნება, იქნება რამდენიმე. ჩვენ ამ ალტერნატივას შევქმნით. პარლამენტში იქნება მრავალფეროვნება. ყველაზე მთავარია, რომ „ოცნებას“ პარლამენტში უმრავლესობა აღარ ჰქონდეს.

***– თუ საჭირო გახდა, ხაზარაძის გვერდით დადგებით?***

– ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ხაზარაძე თავის ორგანიზაციას აშენებს, ჩვენ – ჩვენს ორგანიზაციას.

***– იყო ამაზე საუბარი?***

– ჩვენ შორის არანაირი კომუნიკაცია არ ყოფილა. ჯერ ადრეა 2020-მდე, თუმცა ის ვიცი, რომ, ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ გარდა, ხალხს ალტერნატივა უნდა შევუქმნათ და ეს ალტერნატივა რეალური უნდა იყოს.

# ბიძინა გეგიძე: „2020-ის არჩევნებში თავს ვერსად მოვიაზრებ“

## „მოსამართლეების საკითხს სრული უნდობლობა გამოვუცხადე“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ბიძინა გეგიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ბიძინა, თქვენც ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებზე 60%-ს აიღებს და ერთპიროვნულად დააკომპლექტებს მთავრობას?***

– რაზე დაყრდნობით ამბობს ამას კობახიძე?! მხოლოდ საკუთარ ინტუიციას ეყრდნობა?! საინტერესოა, რა კვლევები დგას ამის უკან. შესრულებული დაპირებების შემდეგ აკეთებენ ამ პროგნოზებს?! დღევანდელ რეალობაში, როდესაც მთელი პოლიტიკური პროცესი მარგინალიზებულია და ადამიანები სრულ ნიჰილიზმში არიან გადავარდნილი, ამ დროს კობახიძისნაირ პოლიტიკოსებს შეუძლიათ, ასეთი განცხადებები გააკეთონ.

***– ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგება საარჩევნო სიას სათავეში. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, შეიძლება, ასე იყოს?***

– გამწევი ძალა იქნება თუ არა რვა წლის თავზე?! 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო გაყალბებული არჩევნების ნათელი მაგალითი. ნაციონალურმა მოძრაობამ ერთ ღამეში გადაწერა ის არჩევნები. მე არ მინდა, რომ იქ დავბრუნდეთ. ეს იქნება კატასტროფა.

ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ რეალური არჩევნები. არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს. ხალხის სურვილის წინააღმდეგ წასვლა ძალიან რთული იქნება. არჩევნების დღეს სწორი და თავმოყვარე ადამიანის გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ეს იქნება ერთადერთი სწორი გამოსავალი. ცუდსა და უარესს შორის არჩევანი – ეს სტიგმა უნდა დაინგრეს.



***– როგორ?***

– ასე საკითხის დაყენება არ შეიძლება. ამომრჩეველმა უნდა შეძლოს მარტივი დასკვნის გაკეთება. მე ქართველ ამომრჩეველზე ძალიან მაღალი წარმოდგენის ვარ.

***– გიორგი კვირიკაშვილის დაბრუნებას ელოდებით პოლიტიკაში? როგორც ჩანს, გულგრილი არ არის პროცესების მიმართ.***

– გულგრილი რომ იყოს, ამ განცხადებებს არ გააკეთებდა. გიორგი კვირიკაშვილს რამდენიმე ათეული წელია, ვიცნობ. ის ისეთი ადამიანია, რომ გულგრილი არასდროს არის ხოლმე ქვეყნის მიმართ, პოლიტიკაში იქნება, პრემიერ-მინისტრი თუ რიგითი მოქალაქე. მისთვის თანამდებობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მას აქვს ის პოზიციები, რომლებსაც არასდროს მალავს.

***– 2020 წლის არჩევნებში თავს სად მოიაზრებთ?***

– დღეს არსებულ პოლიტიკურ სპექტრში არსად მოვიაზრებ თავს.

***– არც მამუკა ხაზარაძესთან?***

– არა.

***– ხომ არ შეხვედრიხართ?***

– არა, არ შევხვედრივარ. მივესალმები მის ახალ მოძრაობას. ახლა დანარჩენი მასზეა დამოკიდებული. ვერ ვიტყვი, რომ სტარტი შთამბეჭდავი ჰქონდათ, მაგრამ ვერც კრიტიკული ვიქნები, ვნახოთ.

***– თქვენ „ქართულ ოცნებაში“ იყავით, მაგრამ სწორედ მოსამართლეების საკითხი გახდა წყალგამყოფი. დღეს პარლამენტში მიმდინარე გასაუბრება რა შთაბეჭდილებას გიტოვებთ?***

– 20-ვე კანდიდატი თუ რას წარმოადგენს თავისი რეპუტაციით, კომპეტენციით, ამას ყველა ერთად ვხედავთ. პარლამენტში მიმდინარე პროცესის გულგრილად ყურება ძალიან რთულია.

ჩემთვისაც მოულოდნელ ფაქტებს აღმოვაჩენ ხოლმე. კიდევ უფრო დამძიმდა კანდიდატების მიმართ დამოკიდებულება. როგორი უნდა იყოს ამ ადამიანებისადმი ნდობა, გაუგებარია. არადა, სასამართლოსა და მოსამართლის ფასი ნდობის გარეშე, მერწმუნეთ, არაფერია. მე არ მაქვს აღქმა, რომ თუნდაც ამ ღია ფორმატმა ეს ნდობა ოდნავ მაინც გააჩინოს, პირიქით, ეს არის ყველაზე ცუდი.

მე ამას ველოდი, ეს ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, მეც კი ვაკეთებ ხოლმე აღმოჩენებს. სრული უნდობლობა გამოვუცხადე ამ პროცესს და ამიტომ მე ამ პროცესში მონაწილეობას არ ვიღებ. აღარ ვაპირებ, ჩემს კოლეგებს დროში შევეცილო და ჩემი მოსაზრებები გამოვთქვა ამ ადამიანებზე. ეს ყველასთვის ცნობილია. მთელი ეს პროცესი ჩემი მხრიდან სრულ უნდობლობას იმსახურებს.

***– რა მოლოდინი გაქვთ, გარკვეული ნაწილი პარლამენტის ნდობას ვერ დაიმსახურებს?***

– არანაირი მნიშვნელობა ამას არ აქვს. არანაირ ოპტიმიზმს არ იძლევა თუნდაც ის, რომ ბოლომდე არ შეივსება ეს კვოტები და ვილაცები ვერ გავლენ.

ჩემი, როგორც პოლიტიკოსის ვალდებულება იყო, ამ პროცესთან კომპრომისზე არ წავსულიყავი. ეს ყველა პოლიტიკოსის ვალდებულებად მიმაჩნია, რადგან საუბარია უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეებზე.

# „პროგრეს ბანკის“ შესწავლისას მასში საეჭვო ტრანზაქციები აღმოვაჩინეთ“

ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი „თიბისი ბანკისა“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელს მამუკა ხაზარაძეს მოუწოდებს, „პროგრეს ბანკში“ საეჭვო ტრანზაქციების ამსახველი დოკუმენტი, არსებობის შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს მიაწოდოს. მესტვირიშვილის თქმით, ასეთი დოკუმენტის არსებობის შესახებ ეროვნული ბანკისთვის ცნობილი არ არის. ფულის სავარაუდო გათეთრებაზე მიუთითებს ტელევიზია „მთავარი არხი“ და TBC ბანკის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე.

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ინფორმაციით, „პროგრეს ბანკის“ საეჭვო გადარიცხვები პირველად ამერიკელმა გამომძიებელმა ჟურნალისტმა დევიდ ბლოსმა შეისწავლა. ჟურნალისტი ინტერვიუში ყვება, რომ „პროგრეს ბანკის“ ტრანზაქციების შესწავლისას მასში საეჭვო გადარიცხვები აღმოაჩინა. მისი თქმით, ბანკიდან პერიოდულად ფული ქრებოდა, რამაც მას ეჭვები კიდევ უფრო გაუმძაფრა.

– ძალიან ვღელავ, როდესაც ფულის გათეთრებაზე ვსაუბრობ, რადგან ამის დადგენა სასამართლოს ვალდებულებაა.

ჩვენ დავიწყეთ დაკვირვება „პროგრეს ბანკზე“, რა დროს ვნახეთ, რომ ყოველ წელს თანხა იკარგებოდა, რაც ბანკისთვის უჩვეულოა. ჟურნალისტური გამოძიების დროს გავარკვიეთ, რომ ბანკს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა იმ რუსულ ბანკებთან, რომლებიც რუსეთში საეჭვო ტრანზაქციებისთვის ცენტრალური ბანკის მიერ იყვნენ დაჯარიმებული. ამის შემდეგ რუსეთის ნაციონალური ბანკი გვაძლევს დეტალურ ინფორმაციას. მისი მეშვეობით შესაძლებელია გაიგო, როგორ დახურეს ეს ბანკი და რატომ არ დაუწესეს სანქციები ამ ბანკს.

ჩვენ შევამჩნიეთ, რომ უჩვეულო ტრანზაქციები იყო როგორც საქართველოში ასევე ევროპაში. რუსეთში ეროვნული ბანკი ითხოვდა განმარტებებს დიდი თანხის ბრუნვაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ისინი კითხვებს სვამდნენ და თანხის ბრუნვასთან დაკავშირებით აინტერესებდათ, სად მიდიოდა ეს ფული და ვინ არიან მისი მომხმარებლები. რუსეთის ეროვნულმა ბანკმა ვერ მიიღო პასუხები, ამიტომ მათ დაუწესეს სანქციები, – განმარტავს გამომძიებელი ჟურნალისტი დევიდ ბლოსი.

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ „პროგრეს ბანკის“ ყიდვა მას პირადად სთხოვა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც იმ დროს ამ ბანკის მეწილე იყო.

ყოფილი ბანკირი აცხადებს, რომ სანამ „პროგრეს ბანკის“ ყიდვის გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, უცხოურ ორგანიზაციას დაუკვეთეს აუდიტი, რომელმაც პროგრეს ბანკში „კრიტიკულად არასასურველი მდგომარეობა“ დააფიქსირა. მეტიც, ხაზარაძის თქმით, „გაუჩნდათ ეჭვი, რომ ეს იყო ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები“.

– უცხოურმა აუდიტორულმა კომპანიამ აქტივები შეამოწმა, საიდანაც რამდენიმე ჯანმრთელ აქტივზე ყიდვის რეკომენდაცია გასცა, რამდენიმეზე კი ითქვა, რომ მათი შესყიდვა რეკომენდებული არ იყო. ამის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა „პროგრეს ბანკს“ ყოველგვარი კითხვების გარეშე ლიკვიდაცია გაუკეთა, – აცხადებს ხაზარაძე.

„თიბისი ბანკისა“ და მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებელი „პროგრეს ბანკთან“ დაკავშირებით ივანიშვილის პროკურატურაში დაბარებას ელოდება.

თბილისის მერმა და „პროგრეს ბანკის“ დამფუძნებელმა კახა კალაძემ მამუკა ხაზარაძის განცხადებებს სამარცხვინო უწოდა. კახა კალაძის თქმით, ხაზარაძემ აღარ იცის, როგორ გადაფაროს საკუთარი სავარაუდო დანაშაული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით და საკუთარ გაფუჭებულს სხვას აბრალებს, რაც, მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობის ნარატივში ჯდება.

დედაქალაქის მერი აცხადებს, რომ მის მიერ დაფუძნებულ „პროგრეს ბანკს“ ფულის გათეთრებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია და ბანკის გადარიცხვებთან ბიძინა ივანიშვილი არაფერ შუაშია. მისი მტკიცებით, როცა მან პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, „პროგრეს ბანკს“ დაუწყეს ბრძოლა და გაკოტრება. მისივე თქმით, ერთადერთი მოტივი, რატომაც ბიძინა ივანიშვილმა „პროგრეს ბანკის“ წილი შეიძინა, ბანკის გადარჩენა იყო.

აუდიტორული შემოწმება „პროგრეს ბანკში“ უცხოელმა ექსპერტებმა 2016 წელს ჩაატარეს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა და მისმა რუსმა პარტნიორმა ილია გავრილოვმა „პროგრეს ბანკის“ გაყიდვა გადაწყვიტეს. ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ინფორმაციით, შემოწმების დროს სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ბანკის ათობით გადარიცხვა ფულის გათეთრების ნიშნებს შეიცავდა. დასკვნაში წერია, რომ შესრულებულ ტრანზაქციებში ფულის გათეთრების ზღვარი კრიტიკულ ნიშნულზეა.

„პროგრეს ბანკი“ 2007 წელს კახი კალაძემ დააფუძნა. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, 9-წლიანი ისტორიის განმავლობაში ამ ბანკმა რვა წელი წაგებით დაასრულა და ჯამში 5.400.000 ლარი იზარალა. 2011-2012 წლებში ბანკის 22%-მდე ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა.

2013 წელს კახა კალაძე „პროგრეს ბანკს“ ტოვებს. ამავე წელს კახა კალაძემ ბანკის საკონტროლო პაკეტი 78 პროცენტი ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიას გადასცა. ოფშორიდან კი ეს ბანკი ილია გავრილოვის ხელში აღმოჩნდა. 2016 წლამდე ილია გავრილოვი ბიძინა ივანიშვილთან ერთად ბანკის თანამფლობელი იყო. 2016 წელს, „პროგრეს ბანკის“ აქციების ნაწილი TBC ბანკმა შეიძინა, ხოლო ამავე წლის 19 ოქტომბერს „პროგრეს ბანკს“ საბანკო საქმიანობის ლიცენზია ეროვნულმა ბანკმა გაუუქმა.

რაც შეეხება ილია გავრილოვს, ბიძინა ივანიშვილის ყოფილი ბიზნესპარტნიორი რუსეთში კიდევ ორ საფინანსო ინსტიტუტს, „ფედერალურ ბანკსა“ და „ბანკ რაზვიტიას“ ფლობდა. „ფედერალურ სადეპოზიტო ბანკს“ რუსეთში საბანკო საქმიანობის ლიცენზია საეჭვო გადარიცხვებისა და კანონთან შეუსაბამო საკრედიტო პოლიტიკის გამო შეუჩერდა, ხოლო „რაზვიტიემ“ ლიცენზია, სავარაუდოდ, ფულის მითვისებისა და განზრახ გაკოტრების გამო დაკარგა.

# პური 10 თეთრით გაძვირდა

წელს პურის ფასი 10 თეთრის ფარგლებშია გაზრდილი, თუმცა ამ ეტაპზე ფასის დამატებით ზრდა მოსალოდნელი არ არის.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, გაზრდილია დამხმარე მასალების ფასები, რაც პურის საბოლოო ღირებულებაზე აისახება.

– წელს პურის ფასი 10 თეთრის ფარგლებშია გაზრდილი. ვიცით, რომ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის და ფქვილის ფასებია შეცვლილი, რაც პურის ფასებზე აისახა ასორტიმენტების მიხედვით. გაძვირებულია შესაფუთი მასალა, პრობლემებია დისტრიბუციაში, მაღაზიები „ქეშბექს“ და სხვადასხვა სახის თანხებს ითხოვენ. რა თქმა უნდა, იმოქმედა ლარის კურსმა. ჩვენ დამხმარე მასალებს ვყიდულობთ და ყველაფერი გაძვირებულია.

ჯერჯერობით ფქვილის ფასი სტაბილურია და პურის გაძვირება მოსალოდნელი არ არის.

გურიის მოამბე

# რომში ცხინვალის რეჟიმის ოფისი დაარბიეს

## გენოციდის საკითხზე ცხინვალში რუსეთის სახელმწიფო დუმის დელეგაცია ჩადის

მარიამ მჭედლიშვილი

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ჩივილმა ქართული მხარის ქმედებებზე ჟენევის დისკუსიებზე შედეგი ვერ გამოიღო. რეჟიმი აგრძელებს ბრალდებებს ქართული მხარის მიმართ და აღნიშნავს, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისი აგრესიას ახორციელებს.

ცხინვალის საოკუპაციო ადმინისტრაციისათვის აგრესიაა ქართული ბლოკშაგუშაგოს აღმართვა. მის გაუქმებას ცხინვალის ხელისუფლება, აგვისტოდან მოყოლებული, დაჟინებით მოითხოვს.

– სასაზღვრო ზოლზე, დასახლებული პუნქტ იუსტის (წნელისის) მიდამოებში ქართული მხარე აგრძელებს პოლიციის ბლოკპოსტის გამაგრებასა და ინფრასტრუქტურის მშენებლობას. მას იცავენ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები.

ამ კვირაში ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ კობში შეყვანილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფები, შეინიშნება საგზაო ტექნიკის გადაადგილება, მიმდინარეობს სადღეღამისო სამშენებლო სამუშაოები. ქართველი პოლიციელები რეგულარულად აწარმოებენ ფოტო და ვიდეოგადაღებებს, – აცხადებს რესპუბლიკის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

ოსური სპეცსამსახურის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება „სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე“ დამატებით საშიშროებას უქმნის უსაფრთხოებას. ის რისკის ქვეშ აყენებს როგორც ადგილობრივ ოს მოსახლეობას, ისე საქართველოს ძალოვან ქვედანაყოფებს, რომლებიც იმყოფებიან „სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ძალების პირდაპირი მოქმედების სექტორში“.

ცხინვალის მტკიცებით, ქართულ მხარეს განზრახ შეცდომაში შეჰყავს საკუთარი მოსახლეობა, როცა აცხადებს, რომ ბლოკპოსტი განთავსდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში. სინამდვილეში, ბლოკსაგუშაგო აღმართულია ოსურ სოფელ უისტის თავზე.

– ჩვენი შეთავაზებაა, დავუბრუნდეთ სიტუაციას, რომელიც იყო აგვისტომდე, – აცხადებს დე ფაქტო პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოსტკონფლიქტურ დარეგულირებაში მურატ ჯიოევი.

მისი თქმით, ახლანდელი რესპუბლიკა საბჭოთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამართალმემკვიდრეა და მაშინდელ საზღვრებში უნდა განიხილებოდეს.

დანარჩენ საქართველოში მოქმედი პრორუსული პარტიების მსგავსად, ჯიოევი დაძაბულობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად საქართველოში ნატოს მიიჩნევს და შემაშფოთებლად მიიჩნევს იმას, რომ ნატოს ბოლო წვრთნაში 14 ქვეყანა მონაწილეობდა.




ქართული ბლოკპოსტისა და ნატოს გარდა, ცხინვალი ევროპაში მომხდარმაც ააღელვა. ევროპის სახელმწიფოები არ აღიარებენ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“. ამის მიუხედავად, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიაში, მოქმედებენ ოკუპირებული რეგიონების წარმომადგენლობები.

რომში ასეთი წარმონაქმნის ოფიციალური დასახელებაა „სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფისი“. ცხინვალის რეჟიმის ოფიციალურ წარმომადგენლად რომში ითვლება მაურო მედრჟია. დაუდგენელმა პირებმა რომში ჩაამსხვრიეს ამ შენობის ფანჯარა და ჩამოხსნეს დაფა რესპუბლიკის ე.წ. სახელმწიფო სიმბოლიკით.

26 ოქტომბერს იგეგმება ახალი დაფის აღმართვა.

ოსებს ეჭვი აქვთ, რომ ეს ქართველებმა ჩაიდინეს და ამ ქმედებას ვანდალიზმს უწოდებენ. გაურკვეველია, როგორ აფასებენ ისინი არჩილ ტატუნაშვილის წამებას, წამებით მოკვლასა და მისი ცხედრის გადმოცემის გაჭიანურებას.

ბოლო დროს ცხინვალში მეოცე საუკუნის დასაწყისის ისტორია უფრო აინტერესებთ. ისინი ამბობენ, რომ 1920 წელს საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ოსებს გენოციდი მოუწყო. მათი ამოცანაა ამ გენოციდის აღიარება.

ამ თხოვნით მათ რუსეთის პარლამენტის ორივე პალატას მიმართეს. სახელმწიფო დუმაში გენოციდის საკითხის შესასწავლად სპეციალური კომისია შეიქმნა. კომისიამ თავისი ექსპერტების მონაწილეობით გარკვეული სამუშაო ჩაატარა. ნოემბრის პირველ დეკადაში ცხინვალს ამ კომისიის წევრი დეპუტატები ესტუმრებიან და საკითხს ადგილზე შეისწავლიან.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის თანახმად, რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს გამოწვევას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

ოკუპაცია არის რუსეთის მხრიდან საქართველოში წარმოებული ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

# მარიამ კუბლაშვილი: „თამთა თოდაძეს სამუდამოდ დავასამარებ!“

ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა რამდენიმე დღის წინ თამთა თოდაძეს, რომელიც ილია ჯიშკარიანს სექსუალურ ძალადობასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს, ტელეეთერში დებატები შესთავაზა.

როგორც ჯიშკარიანის უფლებადამცველი ამბობს, მის შეთავაზებაზე თოდაძის ადვოკატისგან უარი მიიღო.

ინფორმაციას ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ ავრცელებს.

– რა სიბინძურეც წამოიწყო დაზარალებულმა მხარემ, რა მეთოდითაც დაიწყო ომი, რომ რეპუტაცია განზრახ გაუნადგურეს ჩემს კლიენტს, იმავე მეთოდით ვუპასუხე! არ ელოდნენ, რომ ამ სიბინძურეში შევყვებოდი, რომელი ეთერიდანაც ლანძღეს და ცილი დასწამეს ჩემს კლიენტს, ილია ჯიშკარიანს, ამავე ეთერში მოვიწვიე.

რა გავაკეთე, მითხარით, ცუდი?! ამ ქალბატონმა, თავის ადვოკატთან და სხვა უფლებადამცველებთან ერთად, წიხლქვეშ ამოიდო ჩემი კლიენტის ფოტოები და აქციები მოაწყო. ხან პირდაპირ ეთერში დასხდნენ და ისაუბრეს. ცრემლმორეული და ღრიალით კარდაკარ დადიოდნენ და ატრიალებდნენ გულის ამაჩუყებელ სცენებს. ქალი ნაცემი არ არის, ხელებზე აქვს ნაჩხაპნები, ვერ გაურკვევია, სად მიიღო ეს ნაჩხაპნები. ამ ქალის მანიპულაციის გამო ამ კაცის წარსული და ღირსება განადგურდა.

ჯიშკარიანისთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ხალხია, ვინც მისი სახელი და გვარი შემოხაზა არჩევნებში. უნდა, რომ ამ ხალხს გააგებინოს სიმართლე. კაცია და ვერ იჭორავებს. არ გამოსდის ამ კაცს ქალივით ჭორაობა, ნერვიულობს.

მე ქალი ვარ და აი, მაგას დავამთავრებ და დავასამარებ სამუდამოდ. მაგათ ტყუილებსა და აფერისტობას გავაგებინებ მთელ საქართველოს.

თოდაძესა და მის ადვოკატებს ახალი რა შევთავაზე? ტელეეთერში კითხვები უნდა დავუსვა ამ საწყალ, დაჩაგრულ გოგოს მე, მონსტრმა და იმ ჯოჯოხეთურმა პიროვნებამ, რა მონსტრიც შექმნეს ჩემგან.

მე არ ვთამაშობ, არავინ მაფინანსებს რაღაცა მიზნებისთვის. ვარ თავისუფალი და გავიტან ამ საქმეს ბოლომდე. ეგენი არიან მატყუარები და მანიპულატორები. ჩემს შეთავაზებაზე დებატებთან დაკავშირებით მათ უარი განაცხადეს. ადვოკატმა მითხრა, ეს საარჩევნო პოლიგონს დაემსგავსაო.



მათ გახადეს პოლიგონი და შეფუთეს ეს ყველაფერი სიბინძურედ. აიგდეს ამხელა კაცი და ფეხქვეშ გათელეს მისი რეპუტაცია, რომელსაც წარსული აქვს, მეუღლე და შვილები ჰყავს, – აღნიშნა მარიამ კუბლაშვილმა.

# კასპში 7 თვის შვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ არასრულწლოვან დედას შეზღუდული შერაცხადობა დაუდგინდა



კასპში 7 თვის შვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ არასრულწლოვან დედას, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, შეზღუდული შერაცხადობა დაუდგინდა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ინფორმირებულმა წყარომ აცნობა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არ საუბრობს მსჯავრდებული არასრულწლოვნის ადვოკატი ერმილე ჭეიშვილი.

როგორც ის აცხადებს, ვინაიდან საქმე არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხება და, ამას გარდა, სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, დეტალებთან დაკავშირებით საუბრის უფლება არ აქვს.

– ინფორმაციას ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით ვერ დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. პოზიცია ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან შეთანხმებული არ მაქვს. მოგეხსენებათ, საქმე ეხება არასრულწლოვნის ინტერესებს, – განაცხადა ჭეიშვილმა.

რაც შეეხება იმ ფაქტს, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე შეუფარდა თუ არა მოსამართლემ მსჯავრდებულს შედარებით მსუბუქი სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ან იკვეთებოდა თუ არა სხვა გარემოებებიც, ადვოკატი აცხადებს, რომ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჯერ არ ჩაჰბარებია, შესაბამისად, ის ვერ ისაუბრებს, თუ რის საფუძველზე შეეფარდა მოზარდს 6-წლიანი სასჯელი.

შვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ არასრულწლოვანს გორის რაიონულმა სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 1/4-ით შეუმცირდა და საბოლოოდ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

სამართალდამცავებმა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში 7 თვის ბავშვის მკვლელობის ბრალდებით ჩვილის არასრულწლოვანი, 16 წლის დედა 21 მაისს დააკავეს.

# ფონიჭალასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში 5 მსხვილი ნარკორეალიზატორი დააკავეს



პოლიციამ ფონიჭალასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში 5 მსხვილი ნარკორეალიზატორი დააკავა.

როგორც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა მამუკა ჭელიძემ გუშინ, 17 ოქტომბერს, ბრიფინგზე განაცხადა, ბოლო დღეების განმავლობაში სამართალდამცველებმა მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტები ცხელ კვალზე, ოპერატიულად გახსნეს, ასევე, დააკავეს ნარკორეალიზატორები და ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები.

– გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია პოლიციის მიერ ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიების შესახებ.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ფონიჭალის დასახლებასა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში ერთდროულად ჩატარებული ფართომასშტაბიანი ღონისძიების შედეგად 5 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1983 წელს დაბადებული დ.მ., 1981 წელს დაბადებული ა.ე., 1978 წელს დაბადებული ფ.თ., 1981 წელს დაბადებული გ.ა., 1982 წელს დაბადებული ა.ი. მათ ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებაში ედებათ. დაკავებულების მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმეჯერ განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, 11 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და 20 ათას 970 ლარი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებას გულისხმობს.

მიმდინარე წელს სამართალდამცველების მიერ ამოღებულია 26,2 კილოგრამი „ჰეროინი“, 2 კილოგრამი „კოკაინი“, 13700 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“, 23,1 კილოგრამი „მდმა“ 9,8 კილოგრამი ფსიქოაქტიური ნივთიერება და 1 კილო და 600 გრამი ფსიქოტროპული პრეპარატები.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციის ბრალდებით სულ დაკავებულია 113 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და გავრცელების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას, რათა აღიკვეთოს ნარკოტიკების უკანონო რეალიზაცია და მაქსიმალურად შემცირდეს ნარკომომხმარებელთა რიცხვი, – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

# გლდანში ავტოფარეხში 2 ადამიანი დაჭრეს

თბილისში, გლდანში არსებულ ერთ-ერთ ავტოფარეხში, 2 ადამიანი დაჭრეს.

მამაკაცებს დაზიანებები ჩაქუჩითა და დანით აქვთ მიყენებული. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ერთ-ერთი მათგანი უკვე გაწერეს კლინიკიდან.

როგორც შსს-ში აცხადებენ, საქმესთან დაკავშირებით 3 პირია დაკავებული.




გამოძიება მიმდინარეობს დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

# ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობის საქმეზე გასამართლებული ანრი ყურაშვილი ქსნის ციხეში სასტიკად ცემეს



ქსნის ციხეში 26 წლის ახალგაზრდა სასტიკად ცემეს.

„მთავარის“ ინფორმაციით, ანრი ყურაშვილს კრიმინალური გარჩევისას ჯგუფურად გაუსწორდნენ.

ახალგაზრდა მრავლობითი დაზიანებებით ღუდუშაურის კლინიკაშია მოთავსებული. მას მძიმე დაზიანებები აღენიშნება.

ყურაშვილის ოჯახს პენიტენციარული სამსახურიდან დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ ანრი ყურაშვილი ქსნის ციხეში საწოლის მეორე სართულიდან გადმოვარდა.

„მთავარი“ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ე.წ. კრიმინალური გარჩევა წავკისში დათო და ალექსანდრე ფეიქრიშვილების მკვლელობას უკავშირდება.

აღნიშნულ დანაშაულში ყურაშვილს დანაშაულის დაფარვას ედავებოდნენ და ის ამ მუხლითაც გასამართლდა.

ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობის საქმეზე დაკავებული ორი პირიდან ერთი, ნიკოლოზ აბულაძე, სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა და საქართველო დატოვა, მისი შვილი გიორგი აბულაძე კი სამარტოო საკანშია.

# მუხრან ფანგანი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს

## ფანგანმა ბრალი აღიარა

20 ივნისის საქმეზე დაკავებული მუხრან ფანგანი სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ნინო ნაჭყებიამ გუშინ, 17 ოქტომბერს, გამოაცხადა.

მუხრან ფანგანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 2.000- ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეეცვალა.

ფანგანის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შუამდგომლობა დაცვის მხარემ დააყენა, რასაც ბრალდების მხარეც დაეთანხმა.

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე მუხრან ფანგანმა ბრალი აღიარა, ამას გარდა, დაცვის მხარემ ბრალდების მხარის მტკიცებულებები უდავოდ ცნო.

ფანგანის ადვოკატ კახა ხვისტანის განცხადებით, ფანგანმა აღიარა, რომ მან პოლიციელთა მიმართ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა მიიღო.




– პირველი სასამართლო სხდომის ოქმს თუ მოუსმენთ, ნახავთ, რომ მუხრან ფანგანი მაშინაც აღიარებდა ბრალს და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს.

მან გასულ სხდომაზე განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობდა, ვინაიდან განაწყენებული იყო პროკურორებისა და გამომძიებლების ქმედებით, კერძოდ კი იმ გარემოებით, რომ მისი დაკავებიდან დღემდე საპყრობილეში ყოფნისას მასთან კომუნიკაცია არ ჰქონდათ არც გამომძიებელსა და არც პროკურატურის თანამშრომელს. მას არ მიეცა საშუალება, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, რომ არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ იყო და არავისი მოწოდებით არ მისულა შემთხვევის ადგილზე.

როცა მას ჩემი მხრიდან განემარტა, რომ, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მისი დაკითხვა სასამართლო პროცესზე მოხდებოდა და არც გამომძიებლის, არც პროკურორის სამსახურებრივი ვალდებულება არ იყო, მას შეხვედროდნენ, ფანგანმა აღნიშნული განმარტების შემდეგ პოზიცია შეიცვალა, – განაცხადა ადვოკატმა ხვისტანმა.

# ბოლნისში ქმარმა ცოლი ქამრით გაგუდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალავერში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, ქმარმა ცოლი ქამრით გაგუდა. მათ სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდათ.

დანაშაულის თაობაზე ქმარმა სამართალდამცავებს თავად აცნობა.

დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი დაკავებულია. სისხლის სამართლის საქმე 109-ე მუხლის მეორე ნაწილის„ვ“ ქვეპუნქტითაა აღძრული.

# ერდოღანმა ტრამპის წერილი ნაგვის ყუთში მოისროლა

## „ნუ იქნები ხისტი და სულელი!“ – ეწერა ტრამპის წერილში



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წერილი ნაგვის ყუთში მოისროლა.

თურქეთის პრეზიდენტმა ტრამპის წერილი „სრულიად უარყო“.

თეთრმა სახლმა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისთვის გაგზავნილი წერილის შინაარსი გამოაქვეყნა, სადაც ტრამპი თურქ კოლეგას მოუწოდებს, სირიაში შეჭრა არ განახორციელოს.

„ნუ იქნები ხისტი და სულელი! შეგვიძლია, კარგი გარიგება დავდოთ. შენ არ გსურს, ათასობით ადამიანის სისხლისღვრაზე იყო პასუხისმგებელი, ისევე, როგორც მე არ მსურს, თურქეთის ეკონომიკის განადგურებაზე ვიყო პასუხისმგებელი – და მე ვიქნები.

ისტორია დაგიფასებს, თუკი ამას სწორად და ჰუმანურად გააკეთებ, მაგრამ შეგრაცხავს სატანად, თუ მოვლენები კარგად არ განვითარდება. ნუ იქნები ხისტი, ნუ იქნები სულელი!“ – წერს ტრამპი.

წერილი დათარიღებულია 9 ოქტომბრით.

# ბრიტანეთმა და ევროკავშირმა ბრექსიტზე შეთანხმებას მიაღწიეს



დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის ბრექსიტის შეთანხმება მიღწეულია.

ამის შესახებ ბრიტანეთის პრემიერმა ბორის ჯონსონმა „ტვიტერზე“ დაწერა.

„ჩვენ შესანიშნავი ახალი შეთანხმება გვაქვს, რომელიც კონტროლს გვიბრუნებს“, – დაწერა ჯონსონმა.

შეთანხმების მიღწევას ადასტურებენ ევროკავშირის მთავრობაშიც.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან კლოდ იუნკერმა შეთანხმებას „სამართლიანი და დაბალანსებული“ უწოდა.

შეგახსენებთ, რომ ბრიუსელი და ლონდონი ბრექსიტის შესახებ ახალ შეთანხმებაზე ამ დრომდე ვერ თანხმდებოდნენ. საბოლოოდ, შეთანხმების მიღწევა მათ ბრექსიტთან დაკავშირებით დაგეგმილ ერთობლივ სამიტამდე მოახერხეს, რომელიც 17-18 ოქტომბერს გაიმართება.

# მადრიდი ბარსელონაში პოლიციის დამატებით ძალებს აგზავნის



მადრიდმა კატალონიაში პოლიციის დამატებითი ძალების გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო.

ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ფერნანდო გრანდე-მარლასკას განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ბარსელონაში კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეებსა და პოლიციას შორის შეტაკებები არეულობაში გადაიზარდა. პოლიციის ცნობით, აქტივისტებმა მთავრობის შენობების შტურმიც ცადეს, რომლის დროსაც პოლიციასთან შეტაკებები მოხდა.

სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. დემონსტრანტებმა ქუჩებში ცეცხლი წაუკიდეს სხვადასხვა საგანს. არიან დაშავებულებიც.

პოლიციამ 51 ადამიანი დააკავა.

საპროტესტო აქციები რეგიონში 14 ოქტომბერს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ კატალონიელ ლიდერებს ამბოხისთვის პატიმრობა მიუსაჯა, ასევე კატალონიის ყოფილ ლიდერ კარლეს პუჩდემონის დაკავების ორდერი გასცა.

# ზელენსკი ლატვიაში ჩავიდა



უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი რიგაში ჩავიდა. ის ლატვიის პრეზიდენტ ლევიტსს შეხვდა.

საუბრის ძირითადი თემა უკრაინისა და ლატვიის ურთიერთობები იყო.

ლევიტსმა განაცხადა, რომ ლატვია უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უყოყმანოდ უჭერს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ლატვია და უკრაინა რიგ საერთაშორისო ინსტიტუტებში კოორდინირებულად იმოქმედებენ. საუბარია გაეროზე, ეუთოზე და ა.შ.

ლატვიის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, უმასპინძლოს უკრაინელ მეომრებს.

– ვინც დონბასში იბრძოდა ან რუსული ტყვეობა გამოიარა, რეაბილიტაციას ლატვიის კურორტებზე გაივლის, – განაცხადა ლატვიის პრეზიდენტმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საჰაერო ბუშტის აფეთქებამ 16 ადამიანი დააშავა



მალაიზიის ქალაქ პუტრაჯაიაში ფიტნესფესტივალის დროს საჰაერო ბუშტი აფეთქდა, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაშავდა.

ინციდენტი სპორტული ღონისძიების დროს ქალაქის მოედან დატარან უტრაჯაიაზე მოხდა. 16 დაშავებულ ადამიანს შორის ცხრა ბავშვია.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელ როსლი ჰასანის ანგარიშიდან ცნობილი გახდა, რომ საჰაერო ბუშტის აფეთქების მიზეზი გახდა ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილის მცდელობა, ჯოხზე დაბმული ბუშტი სანთებელას გამოყენებით მოეხსნა. წინასწარმა გამოძიებამ აჩვენა, რომ დამნაშავეს კრიმინალური განზრახვა არ ამოძრავებდა.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, დოქტორ ვან აზიზ ვან ისმაილის თქმით, ბუშტის აფეთქების კიდევ ერთ მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ საჰაერო ბუშტების გასაბერად ჰელიუმს სხვა გაზებიც ჰქონდა შერეული.

– სუფთა ჰელიუმის გამოყენება ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ, თუ მას ეკონომიის მიზნით სხვა გაზებს შეურევენ, ამას მსგავსი შედეგები შეიძლება მოჰყვეს, – განუცხადა პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნიანგმა ბიჭი მისი მეგობრების თვალწინ შეჭამა

ტანზანიაში ნიანგმა 12 წლის ბიჭი იმ დროს შეჭამა, როდესაც ის ტბა ვიქტორიაში მეგობრებთან ერთად ბანაობდა.

მარესა ბისეკო ტბა ვიქტორიაზე საბანაოდ მეგობრებთან ერთად გაეშურა. ბავშვები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თუ რომელი უფრო სწრაფად დაიჭერდა ტბის ფსკერზე ჩაგდებულ ბოთლს. ამ დროს წყლიდან ნიანგი ამოხტა და ბიჭს პირი სტაცა. ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ბავშვმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრო.

დანარჩენი ორი ბავშვი, ისე, რომ ვერც კი მიხვდნენ, თუ რა დაემართა მათ მეგობარს, წყლიდან ამოცვივდნენ და დახმარების სათხოვნელად გაიქცნენ, თუმცა უკვე გვიანი იყო. დაღუპული ბიჭის სხეულის ნაწილები ორი დღის შემდეგ იმ ადგილის მახლობლად იპოვეს, სადაც ის მეგობრებთან ერთად ბანაობდა.

# ნიანგმა ეკლესიაში მიმავალი ქალი მოკლა

სამხრეთ აფრიკის ლიმპოპოს პროვინციის სოფელ მოკვეტეს მცხოვრები ქალი ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე ნიანგის თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

39 წლის მავის მოლალა მდინარეზე ორ მამაკაცთან ერთად გადადიოდა. ერთ-ერთის თქმით, ქალს მოულოდნელად წარბები აუთამაშდა და დაიყვირა: „მიშველეთ!“. თანამგზავრები დასახმარებლად მისკენ გაიქცნენ და ერთ-ერთმა ნიანგს თვალების არეში ჯოხით ცემა დაუწყო, სანამ მტაცებელმა ქალს პირი არ გაუშვა.

მავისი ნაპირზე ამოიყვანეს. მას ფეხებზე სერიოზული ჭრილობები ჰქონდა მიყენებული. ერთ-ერთმა მამაკაცმა ბიძაშვილს დაურეკა, რომელმაც დაშავებული ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანა. ქალი დიდი ოდენობით სისხლის დაკარგვის გამო სისუსტეს უჩიოდა. სამწუხაროდ, მისი ვერც შველა და ვერც სხვა საავადმყოფოში გადაყვანა ვერ შეძლეს.

მავისი მეოთხე დღეს გარდაიცვალა. ამჟამად ოჯახის წევრები მისი გარდაცვალების მიზეზების დადგენით არიან დაკავებული. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# თორნიკე შენგელია: „მთავარი მიზანი სეზონის ტრავმის გარეშე ჩატარებაა“




მიმდინარე სეზონში ევროპული კალათბურთის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე ევროლიგაზე ერთი ქართველი კალათბურთელი ითამაშებს – თორნიკე შენგელია. ბასკონიის კაპიტანს ფენერბახჩესთან მატჩის წინ ინტერვიუ ჩამოართვეს.

**თორნიკე შენგელია:**

– ადრეა დღევანდელი ბასკონიის შარშანდელთან შედარება. სეზონის დასაწყისში ვიმყოფებით და დრო კიდევ გვჭირდება. თუმცა, აშკარად სხვა გუნდი ვართ. კარგია ეს თუ ცუდი, მოგვიანებით ვნახავთ. ერთია, წელს ცოტა განსხვავებულნი ვართ. ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ თანდათან უკეთესად ვითამაშებთ.

ჩვენი საკალათბურთო ფილოსოფია აბსოლუტურად ერთნაირია. გვყავს ახალი, ნიჭიერი კალათბურთელები. შესათამაშებლად ცოტა მეტი დრო გვჭირდება.

ჩემი პირადი მიზანია, გასულ სეზონზე უკეთ ვიასპარეზო. ჩემი მთავარი მიზანი კი სეზონის ტრავმის გარეშე ჩატარებაა. ღმერთს ვევედრები, ტრავმა აღარ მივიღო. კიდევ, ჩემი მიზანი გუნდის დახმარებაა. გუნდზე ვარ კონცენტრირებული და ჩემთვის პირადი მიზნები მეორეხარისხოვანია.

რაც შეეხება ფენერბახჩესთან მატჩს, რთული იქნება. თურქული გუნდები გასულ სეზონში ევროლიგის ოთხეულში გავიდნენ. ეს უზარმაზარი წარმატებაა. ვფიქრობ, თურქული კალათბურთი ყოველწლიურად ვითარდება.

ევროლიგის გარდა, თურქულ კალათბურთს თვალყურს ძალიან არ ვადევნებ. თუმცა, მიყვარს თურქეთში სათამაშოდ ჩასვლა, რადგან ჩემი მშობლიური საქართველოს მეზობელია. თუ დრო აქვთ, ხანდახან ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები მატჩებზე მოდიან. ჩემი ხალხისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ, რადგან საქართველოსთან ახლოსაა.

ამას გარდა, მომწონს თურქული სამზარეულო, შესანიშნავი კერძებია. ხალხიც ძალიან სტუმართმოყვარეა. გამონაკლისი ფენერბახჩეს „ულკერის“ დარბაზია. თუმცა, მთლიანობაში ეს მომწონს. ფენერბახჩესთან რთული მატჩი იმიტომაც გველის, რომ 2 შეხვედრა უკვე წააგო და თავისი საუკეთესო თამაშის ჩვენებას შეეცდება. იმედია, გავიმარჯვებთ.

# მესი ბუცებს აგროვებს




პირველ გუნდში დებიუტიდან ზუსტად 15 წლის შემდეგ ბარსელონის არგენტინელ შემტევ ლიონელ მესის „ოქროს ბუცი“ გადაეცა.

ესპანეთის ჩემპიონატის გასულ გათამაშებაში მესიმ 34 შეხვედრაში 36 გოლი გაიტანა და პრესტიჟული ევროპული ჯილდოსთვის ბრძოლაში ყველას აჯობა.

მესიმ ჯილდო მეექვსედ მიიღო, რაც საკუთარი რეკორდის გაუმჯობესებაა.

დაჯილდოების დროს ლეოს ოჯახის წევრები ახლდნენ. ცერემონიას ესწრებოდნენ ხორდი ალბა და ლუის სუარესი, ასევე კლუბის ხელმძღვანელები – ხოზეპ მარია ბართომეუ, ხავიერ ბორდასი, ხავიერ ვილაჟოანა, სილვიო ელიასი და ოსკარ გრაუ.

ჯილდოს მიღების შემდეგ მესიმ მცირე კომენტარი გააკეთა:

– თანაგუნდელების გარეშე ამდენ გოლს ვერ გავიტანდი. ეს ჯილდო ყველას ეკუთვნის. ის მთელი გუნდის დამსახურებაა. ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული ტურნირია და ჩვენ მის მოგებას ყოველწლიურად ვცდილობთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ლა ლიგაა. თასიც მნიშვნელოვანია. ბარსელონა ყოველთვის ყველაფრის მოსაგებად იბრძვის.

ლეო მესიმ ევროპის „ოქროს ბუცი“ 2010, 2012, 2013, 2017, 2018 და 2019 წლებში მოიგო. ის ერთადერთია, რომელმაც ეს ჯილდო ზედიზედ 3-ჯერ მოიგო.

ასევე ერთადერთია, რომელსაც ეს პრიზი 4-ზე მეტჯერ გადაეცა.

# მანჩესტერში მწვრთნელის, სპორტული დირექტორისა და სპონსორის შეცვლა სურთ

მანჩესტერ იუნაიტედში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. კლუბის ხელმძღვანელები თითქმის ყველა სფეროში აპირებენ რეკონსტრუქციას.

მანჩესტერი უკვე 2 თვის განმავლობაში ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ტურინის იუვენტუსის ექსთავკაც მასიმილიანო ალეგრისთან და, როგორც ჩანს, მხარეები შეთანხმების მიღწევასთან ახლოს არიან.

არ არის გამორიცხული, ინგლისში ემრე ჯანი და მარიო მანჯუკიჩიც გადაბარგდნენ, რომლებიც სპეციალისტის მოწონებით ტურინშიც სარგებლობდნენ.

ჯანი მაურისიო სარის გუნდში მოსვლის შემდეგ დისკომფორტს განიცდის. გერმანელი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც კი ვერ შევიდა და აქედან გამომდინარე, ძალზედ რეალურია იმის შესაძლებლობა, რომ კვლავინდებურად ნისლიან ალბიონზე დაბრუნდეს.

სხვადასხვა წყაროს მტკიცებით, მანჩესტერელებს აჩქარება მოუწევთ ალეგრისთან შეთანხმების მისაღწევად, რადგან საქმეში ჩართვას ტოტენჰემიც გეგმავს, რომელიც სპეციალისტის მიმართ სერიოზულ დაინტერესებს ამჟღავნებს.

კონკრეტული ნაბიჯები ერთ ან მაქსიმუმ 2 კვირაში უნდა გადაიდგას.



წელიწადზე წელზე მეტია, რაც მანჩესტერი სპორტულ დირექტორს ეძებს, ყველაზე მეტად კი პრესა ამ თანამდებობაზე ვან დერ საარსა და რიო ფერდინადს ახსენებდნენ.

**ვან დერ საარი:**

– რა თქმა უნდა, მაინტერესებს სპორტული დირექტორის პოზიცია, მაგრამ ვფიქრობ, რომ აიაქსში კიდევ უფრო მეტი მაქვს სასწავლი. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი, იუნაიტედი განსაკუთრებული გუნდია, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცნობენ. ამჯერად აიაქსში აღმასრულებელი დირექტორი ვარ, იუნაიტედში კი სულ სხვა პოზიციის ადამიანს ეძებენ.

ვან დერ სარმა იუნაიტედში 6 წელი გაატარა. იგი 2005 წლიდან ირიცხებოდა ინგლისურ კლუბში, 2008 წელს კი „წითელ ეშმაკებთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის თასი აღმართა.

იუნაიტედი ასევე აქტიურად ეძებს მაისურის ახალ სპონსორს, რადგან შევროლესთან გაფორმებული კონტრაქტი 2020-21 წლის სეზონის დასასრულს უმთავრდება. ჯერჯერობით ვერც ერთი მხარე შეთანხმებას ვერ ახერხებს. 7-წლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კლუბი ახალ მთავარ სპონსორს მოძებნის, თუმცა ეშმაკებს კვლავ სურთ ამერიკულ კომპანიასთან თანამშრომლობა.

**ედ ვუდვორდი** ამასთან დაკავშირებით აცხადებს:

– იუნაიტედს მსოფლიოს მასშტაბით უამრავი გულშემატკივარი ჰყავს და ისინი ყოველთვის წარმატებას მოითხოვენ. წარმატება კი ტიტულების მოგებას ნიშნავს. ეს ჩვენი მიზანია და არასდროს შეცვლილა. ჩვენი პროგრესი ბიზნესის მხრივ, საფუძველს უყრის უფრო დიდ ინვესტიციას ფეხბურთში.

ამჟამინდელი კონტრაქტი 2012 წელს დაიგეგმა და ოფიციალურად 2014 წელს გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, იუნაიტედი ყოველ სეზონში 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს იღებს

# თსუ-მ ბათუმი ისევ დაამარცხა

**თსუ-ბათუმი 92:90**

**(33:29, 19:20, 25:19, 15:22)**




სუპერლიგის პირველი ტურის კიდევ ერთ მატჩს თბილისის ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა. ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და ბათუმი შეხვდნენ. ამ გუნდებს 13 ოქტომბერს უნდა ეთამაშათ, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი 9 ოქტომბერს ერთმანეთს დუდუ დადიანის ფინალში შეხვდნენ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და ორგანიზატორთა თანხმობით მატჩი მოგვიანებით გაიმართა. მემორიალის ფინალისტთა სუპერლიგის შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წუთები, როცა ქულა-ქულაში ბრძოლა გაჩაღდა. ორივე გუნდს გამარჯვების თანაბარი შანსი ჰქონდა, თუმცა გამარჯვება თსუ-ელებს დარჩათ, რომლებიც მთელი თამაშის განმავლობაში იგებდნენ.

თუკი დადიანის მემორიალზე უნივერსიტეტის გუნდმა დამაჯერებელი, 18-ქულიანი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად მხოლოდ 2 ქულით იძალა – 92:90. არადა, მესამე პერიოდში თსუ-თა ლიდერობამ 12 ქულას მიაღწია – 71:59 და თითქოს ბათუმელებიც გატყდნენ, მაგრამ სტუმრები დანებებას არ აპირებდნენ და გადამწყვეტ მეოთხედში გადამწყვეტი იერიში წამოიწყეს. ლეგიონერების – კოლინ მალკოლმის, ნიკოლა ვუიოვიჩისა და ჯუნიუს პროველის ქულებით ზღვისპირელებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს და მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე დაწინაურდნენ კიდეც – 86:85. გადამწყვეტ მომენტში ყველაფერი მცირე დეტალებმა გადაწყვიტა. ბათუმელებს შეტევა გაუცუდდათ, თსუ-მ კი იხეირეს და გამარჯვებაც ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილ უნივერსიტეტელებს დარჩათ.

თსუ-ს რიგებში, ფაქტობრივად, შეუჩერებელი იყო გიორგი ტურძილაძე, რომელმაც 35 ქულა მიითვალა. ამით მან გაიმეორა პირველი ტურის ბომბარდირის, ოლიმპელი რევაზ როგავას შედეგი. 14 ქულა მიითვალა დევიდ მაკფერლანდმა, რომელსაც თსუ-ში დებიუტი ჰქონდა (დუდუ დადიანის თასზე არ უთამაშია). 12 ქულა მიითვალა სანდრო სანაძემ, გიორგი კორსანტიამ კი ორმაგი დუბლი გაიფორმა – 11 ქულა, 13 მოხსნა.

ბათუმში 24 ქულით საუკეთესო იყო კოლიმ მალკოლმი. 18 ქულა და 12 მოხსნა ნიკოლა ვუიოვიჩის ანგარიშზეა.

სუპერლიგის მე-2 ტურის მატჩები 19 და 20 ოქტომბერს გაიმართება.

# ტორპედო ბავშვებით ვარჯიშობს

ქუთაისის ტორპედო ეროვნული ლიგის 31-ე ტურის მატჩისთვის მზადებას აკადემიის ბავშვებით განაგრძობს.

ამის შესახებ ინფორმაციას რიონისპირული გუნდის ოფიციალური სოციალური ქსელის გვერდი იუწყება და განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– 19 ოქტომბერს ტორპედო წყალტუბოში ეროვნული ლიგის 31-ე ტურის ფარგლებში საბურთალოს უმასპინძლებს. გამომდინარე იქიდან, რომ მთავარ გუნდს ვარჯიში არ განუახლებია, სამწვრთნელო შტაბი იძულებულია, მოახლოებულ მატჩში/მატჩებში მოედანზე ასაკობრივი გუნდის ფეხბურთელები გამოიყვანოს.

რეგლამენტის თანახმად, კლუბს მატჩის განაცხადში მე-2 გუნდიდან მხოლოდ 5 ფეხბურთელის შეყვანა შეუძლია. შესაბამისად, საბურთალოსთან მატჩისთვის 17 და 19-წლამდე ასაკობრივი გუნდის ფეხბურთელებიც ემზადებიან.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის ტორპედოში მიმდინარე სეზონში სერიოზული ფინანსური პრობლემებია, რის გამოც გუნდიდან შუა სეზონში წამყვანი მოთამაშეები წავიდნენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ჩემპიონთა ლიგის ფინალის ჩატარების ადგილი, შესაძლოა, შეიცვალოს

უეფა, ფეხბურთის გარდა, ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკასაც და, დიდი შანსია, რომ სტამბოლს ჩემპიონთა ლიგის 2019-20 წლების სეზონის ფინალის მასპინძლობის უფლება ჩამოართვან. მკაცრი სანქციის მიზეზი კი თურქეთის მიერ სირიაში განხორციელებული სამხედრო აგრესიაა.

იტალიის სპორტის მინისტრმა ვინჩენცო სპადაფორამ უეფას წერილით მიმართა. მისი თქმით, უსამართლობაა, რომ თურქეთი მსოფლიო სპორტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მატჩს უმასპინძლებს და ორგანიზაციას უფლების ჩამორთმევისკენ მოუწოდა.

უეფას წარმომადგენლებს აღნიშნულ წერილზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. ვიცეპრეზიდენტმა მიკელე უვამ იტალიურ რადიოსთან განაცხადა, რომ ამ ეტაპზე სანქციებზე საუბარი არასერიოზულია და ყველაფერი დეკემბერში გაირკვევა.

**მიკელე უვა:**

– ჩვენ ამ ეტაპზე აღნიშნულ საკითხზე არ გვისაუბრია, თუმცა ნათელია, რომ უეფას პრეზიდენტ ალექსანდრ ჩეფერინთან და აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად სიტუაციას შევაფასებთ. ამ ეტაპზე კი მსგავსი დონის სანქციაზე საუბარი ნაადრევია. სპორტს და პოლიტიკას ერთმანეთისგან ვმიჯნავთ, მაგრამ არსებობს საკითხები, რაზეც თვალის დახუჭვა შეუძლებელია. ფინალის მასპინძლის სტატუსის ჩამორთმევის დროს კი ბევრი ასპექტია გასათვალისწინებელი.

შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონის ფინალი 30 მაისს სტამბოლში, ათათურქის სახელობის ოლიმპიურ სტადიონზეა დაგეგმილი. ალტერნატიული ვარიანტები, შესაძლო გაუქმების შემთხვევაში, ჯერჯერობით არ გაჟღერებულა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. საქართველოში გავრცელებული წითელი ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 3. სოფლის მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ტროპიკული ხილი; 5. წალკის ძველი სახელწოდება; 10. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 11. თავადის ტიტული ინდოეთში; 12. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. ბერძნული ცეკვა; 16. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 17. სამახსოვრო საჩუქარი; 19. ისტორიული ციხე-ქალაქი ტაო-კლარჯეთში; 21. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში.

**თარაზულად**: 6. ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულთა ჯგუფი ოკეანეში; 7. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში; 8. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 9. მაგნიტის ქართული სახელწოდება; 14. მოსამართლე ძველად საქართველოში; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. მუსლიმანთა მთავარი კალენდარი; 20. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 22. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 24. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 25. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 26. ბოშათა წინამძღოლი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხუცური; 2. კოხი; 3. შერმადინი; 4. მეგრე; 5. ფისკალი; 8. რიკოთი; 9. ალტიმეტრი; 12. სუძუკი; 14. მატისი; 16. ისანი.

**თარაზულად:** 1. ხვანჭკარა; 6. გემრიელი; 7. ციურიხი; 9. არემჯი; 10. მესა; 11. სორბიტი; 13. ხომლი; 15. რუბიკი; 17. ლიბრეტო; 18. კურაგა; 19. პრესტო; 20. მირიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პეტარდა; 2. ომნიბუსი; 3. ანოფელესი; 4. ჰორაციო; 5. მიტელშპილი; 10. ღადარი; 11. კუროსავა; 12. ბოცმანი; 13. ოკლუზია; 16. შარლატანი; 17. კარავაჯო; 19. ასპარუხი; 21. კანტი; 23. ტანგო.

**თარაზულად:** 6. დეკამერონი; 7. კოფეინი; 8. თრომბი; 9. დემენცია; 14. სკრეპერი; 15. პაციფისტი; 18. ლავრა; 20. ბაიდარა; 22. კატრანი; 24. ხარება; 25. მალაქიტი; 26. ელგუჯა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.9682


ევრო — 3.2980


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8242


100 რუსული რუბლი — 4.6123

## ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბერი








## 16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

**ქართული საბრძოლო ხელოვნება**

ჩვენი ღირსებანი

**ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი**

## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**ბაზალეთისა ტბის ძირას**

წიგნი III




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## მიხეილ კობახიძე ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს



კინორეჟისორი მიხეილ კობახიძე ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს. ქაშუეთის ეკლესიაში მასთან გამოსამშვიდობებლად უამრავი ადამიანი მივიდა. მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად რეჟისორს პატივი რიგითმა მაყურებლებმაც მიაგეს.

მიხეილ კობახიძე 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი ქაშუეთის ტაძრიდან აპლოდისმენტებით გამოასვენეს და ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს.

## ბახვა ბრეგვაძე მუსიკალურ გადაცემას წაიყვანს

მსახიობი და ტელეწამყვანი ბახვა ბრეგვაძე „იმედის“ ეთერში ახალ მუსიკალურ გადაცემას წაიყვანს.



მელომანი – ასე ეწოდება გადაცემას, რომელიც პომპეზური მუსიკალური შოუა. მასში გართობის თითქმის ყველა ფორმაა გაერთიანებული: სიმღერა, ცეკვა, თამაში, იუმორი და კურიოზული მომენტები.

ეს არის თამაში, რომელშიც გამარჯვებული მუსიკალური სმენის, ზოგადი განათლებისა და ასევე ინტუიციის ხარჯზე ვლინდება. პარალელურად კი მონაწილეებთან ერთად მღერის ყველა: დარბაზში მსხდომი პუბლიკა და მაყურებელი ტელეეკრანის წინ ეკრანზე მორბენალი კარაოკეს დახმარებით.

პირველი გადაცემის სტუმრები ტელეკომპანია „იმედის“ სხვადასხვა გადაცემის წამყვანები იქნებიან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 18 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ცოლს ყველაზე მეტად მხოლოდ ორი რამის ეშინოდა: მასხარებისა და სიღარიბეში სიკვდილის...

– მერე?

– მერე მის ცხოვრებაში მე გამოვჩნდი და ორივე შიში გავაერთიანე.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, როგორი სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც ყიდულობ ისეთ რამეს, რაც სულაც არ გჭირდება, მაგრამ სულში ისეთი სითბო გეღვრება იმის გამო, რომ ის შენ გაქვს?

– მე მასე გავთხოვდი.

●●●

კაცი და ქალი სხედან. ქალმა კაცს ხელი ხელზე დაადო და ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი, დავქორწინდეთ. ჩვენ ისეთი ველური სექსი და ვნებით აღსავსე რომანტიკა გვაქვს, რომ ჩვენი ნებისმიერს შეშურდება, ხომ ასეა?

– ჰო, მაგრამ ამ ყველაფრის გარეშე დარჩენა არ მინდა.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩვენმა შვილმა დღეს ძუკნა მიწოდა!

– ოჰ, ეგ შობელძაღლი, ეგა!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ცოლი ოპერაში „ოტელოზე“ მყავდა.

– კულტურული ღონისძიებების ფარგლებში?

– არა, პროფილაქტიკური...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი, რამდენი რამის ყიდვას შევძლებთ, შენ რომ სმას თავი დაანებო?

– ვიცი, შენთვის ქურქის, ჩემთვის კი არაფრის...

●●●

ცოლი საყვარელთან ერთად ლოგინში წევს. ამ დროს ოთახში ქმარი შემოვარდა. ქალი საყვარელს ეუბნება:

– ძვირფასო, მიდი, დაუმტკიცე, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ!

– რა, ამასაც?

## რეალმა პოგბას ტრანსფერზე უარი თქვა

მადრიდის რეალმა მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველ პოლ პოგბას ტრანსფერზე უარი განაცხადა და მის გადაბირებას აღარ ეცდება.



რეალი ზაფხულში ცდილობდა პოგბას შეძენას, მაგრამ მანჩესტერმა 200 მილიონზე მეტი მოითხოვა და ამის გამო ტრანსფერი ჩაიშალა.

რეალმა პოგბას ყიდვა მისი ხშირი ტრავმების გამოც გადაიფიქრა და ზიდანი აქცენტს ფედერიკო ვალვერდეზე გააკეთებს, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება.

რაც შეეხება პოგბას, ის ამჟამადაც ტრავმირებულია და მოედანზე ოქტომბრის ბოლოს დაბრუნდება.

## მოკრივე პატრიკ დეი ბრძოლის შემდეგ 4 დღეში გარდაიცვალა



კრივში კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა. საშუალო წონაში მოასპარეზე პატრიკ დეი ჩარლზ კონველთან ნოკაუტით წაგების შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა და 4 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

დეიმ მეათე რაუნდში წააგო ნოკაუტით და მას ტვინის მძიმე ტრავმა ჰქონდა, რაც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა.

წელს ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც მოკრივე ბრძოლის შემდეგ დაიღუპა. რუსი მაქსიმ დადაშევი და არგენტინელი უგო სანტილიანი 23 და 25 ივლისს გარდაიცვალნენ და მიზეზი ისევ ტვინის მძიმე ტრავმები იყო, რომლებიც მათ ბრძოლის დროს მიიღეს.

## ელ-კლასიკო, შესაძლოა, დეკემბერში ჩატარდეს

ბარსელონისა და რეალის დაპირისპირება, რომელიც ბარსელონაში 26 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, შესაძლოა, გადაიდოს. ამის მიზეზი კი მასობრივი საპროტესტო გამოსვლებია, რომლებიც ბარსელონაში მიმდინარეობს. პროტესტი კატალონიელი პოლიტიკოსების დაკავებამ გამოიწვია.

ბარსელონა არ არის წინააღმდეგი, შეხვედრა გადაიდოს და დეკემბერში ჩატარდეს. ესპანეთის საფეხბურთო ფედერაცია გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს.

## რაკიტიჩი მანჩესტერ იუნაიტედსაც მოუნდა

ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩი, სავარაუდოდ, ბარსელონას დატოვებს და მისი შეძენა რამდენიმე კლუბს სურს. აქამდე ძირითადად მხოლოდ იუვენტუსი აქტიურობდა, მაგრამ, ბოლო ინფორმაციის მიხედვით, რაკიტიჩით მანჩესტერ იუნაიტედიც დაინტერესდა. მანჩესტერი სწორედ რაკიტიჩის ამპლუის ფეხბურთელს ეძებს ნახევარდაცვაში და ის მზად არის, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

რაკიტიჩმა წელს ბარსელონის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და წასვლის სურვილი სწორედ ამით არის გამოწვეული.



*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ბიჭოლა თბილისში ჩვენებას მოაწყობს



დიზაინერი ბიჭოლა თეთრაძე თბილისში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩვენებას მოაწყობს:

– დიდი ხანი ვემზადებოდი ამ დღისთვის! 9 წელია, წავედი საქართველოდან, ვმუშაობდი და ვმუშაობ ძალიან ბევრ საინტერესო პროექტზე, უდიდესი გამოცდილება დავაგროვე ამ წლების განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ არ ვცხოვრობ საქართველოში, როდესაც ჩემი ბრენდის განახლება გადავწყვიტე, არც კი მიფიქრია, დამეწყო სადმე სხვა ქვეყნიდან, ასე რომ, 3 ნოემბერს ბიჭოლა გაზაფხული-ზაფხული 2020 ჩემს საყვარელ თბილისში, მერცედეს ბენც ფეშენ ვიქ თბილისის ფარგლებში გაიმართება ჩემი პირველი ჩვენება.

ვღელავ ისე, როგორც არ მიღელვია მაშინ, როცა პირველ ჩვენებას ვაკეთებდი 10 წლის წინ! მადლობა სიყვარულისა და დაფასებისთვის ამ წლების განმავლობაში. ეს გზა მე თქვენთან ერთად გავიარე!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. საცხენოსნო შეჯიბრება; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. ვაზის, ღვინის პატივსაცემი დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. ცხოვრების, შრომის, კვების დადგენილი წესი; 9. სხვადასხვა ფერის მინის მსგავსი, არაგამჭვირვალე მასა ლითონის საგნების ზედაპირის დასაფარავად; 12. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწვანით მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად**: 1. ოპერაში მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. რძის პროდუქტი; 10. გალავნით შემოსაზღვრული უბანი ძველ თბილისში; 11. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 13. დაბა სიღნაღის რაიონში; 15. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 19. შარლ გუნოს ოპერა; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

